საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 5 ნოემბერი. 2016 წ. №207 (8099), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.



სისტემისტები

შვილმა და მისმა მეგობრებმა დედა მოკლეს და ნაგავსაყრელზე დაწვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 76 წლამდე ქალის მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 5 პირი. დაკავებულთაგან ერთი — 18 წლის გოგონა მოკლულის შვილია, მეორე გოგონას შეყვარებული, დანარჩენი 3 პირი კი მათი მეგობარი. შსს-ში გამართულ ბრიფინგზე ასევე ცნობილი გახდა, რომ გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულთაგან სამმა პირმა 70 წლამდე ქალი ელექტროშოკით გაგუდეს, შემდეგ კი დანა ჩაარტყეს, მოკლეს და დაანაწევრეს, ამის მერე კი დანაწევრებული გვამი გლდანში მდებარე გაუქმებულ ნაგავსაყრელზე ორი ჩანთით გაიტანეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.

დაკავებულთაგან სამს დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობა ბრალდება, 2 პირს კი დანაშაულის შეუტყობინებლობა.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, შვილისა და 4 პირის მიერ თბილისში 70 წელს გადაცილებული ქალის მკვლელობა „რიტუალური მკვლელობა“ იყო. არსებული ინფორმაციით, მკვლელობის ბრალდებით დაკავებულები კონკრეტული სექტის წევრები არიან.

ამასთან, როგორც შსს-ში გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია მნიშვნელოვანი მტკიცებულებები.

„ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დროს მოხდა მკვლელობის, გვამის დანაწევრებისა და დაწვის ადგილების დათვალიერება, საიდანაც ამოიღეს უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებები, დაიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა არაერთი და, მათ შორის, გენეტიკური (დნმ) ექსპერტიზა, ამოღებულია ვიდეოჩანაწერები და სხვა.

სამართალდამცველების მიერ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ნანახი და ამოღებული გვამის ფრაგმენტები ეკუთვნის გარდაცვლილ ლუბა ყ.-ს, რომელიც საქართველოს შს სამინისტროს მიერ, ოჯახის წევრის განაცხადის საფუძველზე, 2016 წლის 19 ოქტომბრიდან იძებნებოდა, როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგული.



გამოძიებით დადგინდა, რომ ეს იყო რიტუალური მკვლელობა“, — განაცხადეს შსს-ში.

აღნიშნულ საქმეზე განზრახ დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობისთვის დაკავებულ ბრალდებულთაგან ორი ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. მესამე ბრალდებული, არასრულწლოვანი ნინა ჩ. დუმილის უფლებას იყენებს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის, განზრახ მკვლელობის დანაშაულის დაფარვისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 375-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნილია!

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ირმა ყ., 1993 წელს დაბადებული ბექა შ. და 1999 წელს დაბადებული ნინა ჩ. დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, ხოლო 1994 წელს დაბადებული ავთანდილ ა. და 1993 წელს დაბადებული დათა კ. — ამავე მკვლელობის შეუტყობინებლობისა და დანაშაულის დაფარვის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ სამმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, რასაც წინ უძღოდა დედა-შვილის — ირმა ყ.-სა და ლუბა ყ.-ს შორის წარმოქმნილი უთანხმოება და დაპირისპირება, თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე კორპუსის საცხოვრებელ ბინაში, ამავე მისამართზე მცხოვრები, ბრალდებულ ირმა ყ.-ს დედა - 1940 წელს დაბადებული ლუბა ყ. ჯერ ელექტროშოკით გათიშეს, ხოლო შემდგომ გაგუდეს და დანის დარტყმით მოკლეს. ბრალდებულებმა გარდაცვლილი ლუბა ყ.-ს ცხედარი დიდი ზომის ჩანთაში მოათავსეს და თბილისში, ბექა შ.-ს ნაქირავებ ბინაში გადაიტანეს, სადაც გვამი დაანაწევრეს.

იმავე საღამოს, დაბინდების შემდგომ, ბრალდებულებმა დანაწევრებული გვამი ორი ჩანთის მეშვეობით გლდანის №8 საპყრობილის მიმდებარედ არსებულ გაუქმებულ ნაგავსაყრელზე გადაიტანეს, წინასწარ, მოცემული დანაშაულის ჩადენის მიზნით შეძენილი ბენზინი გადაასხეს, ცეცხლი წაუკიდეს და კვალის დასაფარავად, თხრილში დაწვეს“.

ამ შემზარავი ფაქტის ანალიზს რედაქცია კვლავ დაუბრუნდება...

რატომ ვიგდებთ აბუჩად შეწუხებულ მოქალაქეს?!.

მეორე ღია წერილი საქართველოს მთავარ პროკურორს, ბ-ნ ირ. შოთაძეს

3

დღის ფრაზა

...გადავხედე ნაცებში მიმდინარე „პროცესებს“ და ავხარხარდი!

დავით საყვარელიძე გიგი უგულავას ამტყუნებს, მეგი გოცირიძე და თეა თუთბერიძე იცავენ მიშას, მარა თუთბერიძე რაღაცას ბოლომდე არ ამბობს. ელისო კილაძე თან შავრაზმელია, თან ნაცებს „ბალეშჩიკობს“.

ჩერგოლეიშვილი (ჩერგო) იცავს გიგის, გიგი მიდის პარტიიდან, ე.ი. მიშას მხარესაა. აკო მიშასკენაა, ვანო დუმს, წერეთელი ელოდება, მიშა პარტიის უზურპაციის წინააღმდეგია, ოთო კახიძე თან მიშას იცავს, თან პარლამენტში შედის, ხოშტარია პარტიის თავმჯდომარე ხდება. ერთი სიტყვით, ისევ ნაცური ავჯაფსანდალია, ამეხადა თავი!!! წადით, თქვენი ჩახლართული დედაც!!!

კულტურის სამინისტრო რუსთაველის წინააღმდეგ?!

6

ორი ნაბიჯი უკან და არც ერთი ნაბიჯი წინ,

4-5

ანუ საზმაუს საუბარი ყველაფერზე და არაფერზე



საქართველოს პრემიერ-მინისტრი სომხეთის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სომხეთის პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს შეხვდა. პირისპირ შეხვედრა „ბაგრატაშენის“ ახალი სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის ცერემონიის ფარგლებში გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი და სომხეთის პრეზიდენტი დაესწრნენ.

გიორგი კვირიკაშვილმა სერჟ სარგსიანს „ბაგრატაშენის“ სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა მიულოცა და განაცხადა, რომ შეიქმნა ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა. მხარეებმა ორმხრივი კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ ისაუბრეს. საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას.

სერჟ სარგსიანმა გიორგი კვირიკაშვილს საპარლამენტო არჩევნებში მმართველი გუნდის გამარჯვება მიულოცა. პირისპირ შეხვედრის შემდეგ, სომხეთის პრეზიდენტმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, სამუშაო სადილზე უმასპინძლა

ამერიკელი კონგრესმენები კვლავ გვერდში დაგვიდგებიან

ამერიკელი რესპუბლიკელი კონგრესმენები ტედ პო და ჯეერალდ კონოლი, რომლებიც აშშ-ის კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეები არიან, საქართველოს 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ულოცავენ.

„მოუთმენლად ველით საქართველოს ახლად არჩეულ მთავრობასთან მუშაობის დაწყებას, რაც საქართველოს შემდგომ კეთილდღეობასა და სტაბილურობას მოუტანს“, — ნათქვამია ამერიკელი კონგრესმენების ერთობლივ განცხადებაში.

კონგრესმენების თქმით, „ოცდახუთი წლის წინათ საქართველომ საბჭოთა კავშირის ტირანიას და კომუნისტურ წნეხს დაალწია თავი და მას შემდეგ, საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების მეგობარი და მოკავშირეა.“

ნინო ლომჯარია გენერალური აუდიტორის პირველ მოადგილედ დაინიშნა

„სამართლიანი არჩევნების“ ყოფილი ხელმძღვანელი ნინო ლომჯარია მუშაობას სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განაგრძობს. ლომჯარია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ლაშა თორდიას პირველ მოადგილედ დაინიშნა. ის ოფიციალურად თავად ლაშა თორდიამ წარადგინა.

ვირეშმაკოლოგმა ბოკერიამ და შანტრაპამ კარგად გათვალა

გიგი უგულავას მიერ გავრცელებულ მიმართვას ექსპერტი და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრი ანდრო ბარნოვი ფეისბუქზე ეხმაურება და აცხადებს, რომ პატარა, გაქნილი ჯგუფის მანიპულაციებს ეწირება პარტიაც და ქვეყანაც. ანდრო ბარნოვის მიერ გავრცელებულ წერილს უცვლელად გთავაზობთ:

„წერილი, რომელსაც გიგი უგულავა აწერს ხელს, ვრცელ პასუხს იმსახურებს, მაგრამ მოკლედ სათქმელიც არსებობს.

რანაირად არ იყო მიშა სააკაშვილი პარტიის პრემიერობის კანდიდატი, თუ ამის შესახებ სულ 20-მა კაცმა იცოდა? პოლიტსაბჭო ხომ 60-ზე მეტი ადამიანისაგან შედგება? და მხარდამჭერების აზრიც არ აინტერესებდა ამ 20 კაცს? საქმე ისაა, რომ ეს არ არის შემთხვევით გაპარული ლაფსუსი ამ წერილში. სიმართლეა და ადასტურებს იმ მდგომარეობას, რომელიც პარტიაში რეალურად არის. პატარა გაქნილი ჯგუფის მანიპულაციებს ეწირება პარტიაც და ქვეყანაც.

ადრე უნდა გვეთქვა, რომ მიშა აღარ იყო ლიდერიო. შეცდომააო. შეცდომა კი არა, კაი ვირეშმაკული გათვლაა, ბატონო ჩემო. ეგ რომ გეთქვათ, მერე ხმებს როგორ მიიღებდით? მაგრამ ვირეშმაკოლოგმა ბოკერიამ და შანტრაპამ კარგად გათვალა: ჯერ ხმებს აიღებდნენ მიშას სახელით და მერე ეს 20 კაცი „დაალაგებდა“ შიგნით.

ახლა ამათ გონიათ, რამე მოიგეს, დანარჩენზე მერე ვიტყვი“, — აცხადებს ბარნოვი.

მათ საფუძველი ჩაუყარეს ქართულ დიპლომატიას

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები რევაზ ადამია, გიორგი ბურდული და ლევან მიქელაძე ქართული დიპლომატიის განვითარების, საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და აღმატებული ღვაწლისათვის სიკვდილის შემდეგ ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

„მინდა, აღვნიშნო ამ ადამიანების ღვაწლი, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენთან ერთად აღარ არიან. მათ საფუძველი ჩაუყარეს ახალ ქართულ დიპლომატიას. ეს ხდებოდა რთულ დროს, ისეთ პერიოდში, როდესაც ძალიან ბევრი რამ ქვეყნის შიგნით არ იყო გადაწყვეტილი. ძალიან ბევრი პრობლემა, ფაქტობრივად, თბილისის ქუჩებში იყო თავმოყრილი, მაგრამ ქართული სახელმწიფო ხედავდა თავის პრიორიტეტებს და ამ ადამიანებთან ერთად ახორციელებდა იმ უმნიშვნელოვანესი სამსახურის გაძლიერებას და განმტკიცებას, რომელიც რეალურად უზრუნველყოფდა ჩვენი სახელმწიფოს მომავალს“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

გიორგი მარგველაშვილმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი დიპლომატების ოჯახის წევრებს პრეზიდენტის სასახლეში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტებთან შეხვედრისას გადასცა. **სტუდენტებთან შეხვედრა ქართული დიპლომატიის დღესთან დაკავშირებით გაიმართა.**

თსუ-ს სტუდენტებისათვის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდია დაწესდა

საქართველოს **პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების სტუდენტებისათვის ქართული დიპლომატიის დღესთან დაკავშირებით სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდია დააწესა.**

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ განცხადება პრეზიდენტმა პრეზიდენტის სასახლეში საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა.

„ისევე როგორც ახალი ქართული სახელმწიფო და ახალი ქართული დიპლომატია , 25 წლისაა ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. აქედან გამომდინარე, მე გადავწყვიტე, რომ ამ ფაკულტეტზე ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი დიპლომატის, სულხან-საბას სახელობის სტიპენდია დავაარსო, და იმედი მაქვს, რომ ეს ნაბიჯი კიდევ უფრო გააძლიერებს თქვენს მოღვაწეობას“, — მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა სტუდენტებს.

საქართველოს პრეზიდენტმა ქართული დიპლომატიის დღე მიულოცა და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ყველა თაობის ქართველ დიპლომატს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, მინისტრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და სხვა სასწავლებლებს, რომლებიც ამ მიმართულებით ახალი თაობის აღზრდას ახორციელებენ.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, ქართული დიპლომატიის დღე ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის, ჩვენი ქვეყნის სიძლიერისთვის, სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

გრიგორი კარასინს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში პასუხობენ

საქართველოს პრეზიდენტის საგარეო ურთიერთობათა მდივანი **თენგიზ ფხალაძე** გრიგორი კარასინის იმ განცხადებას ეხმაურება, სადაც რუსი დიპლომატი აღნიშნავს, რომ საქართველო კვლავ არ არის მზად, რუსეთთან დიპლომატიური ნაბიჯები აღადგინოს.

„თუ ვინმეს აქვს იმის ილუზია, საქართველოს ხელისუფლება, ან ქართველი ხალხი ოდესმე შეეგუება იმ ნაბიჯებს, რომლებიც, მაგალითად, გუშინ გადაიდგა, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმ მცოცავი ოკუპაციის და ფარული ანექსიის, რომელსაც რუსეთის ფედერაცია საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს. თუ ვინმეს აქვს იმის ილუზია, რომ ჩვენ ამას შევეგუებით, მაშინ ძალიან ცდება. მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართულია და ყოველთვის იქნება მიმართული იქითკენ, რომ საქართველოს თემატიკა, ჩვენთვის მტკივნეული საკითხები ყოველთვის მაქსიმალურად აქტიურად იყოს წამოწეული საერთაშორისო დღის წესრიგში და იმ არალეგიტიმურ ქმედებებს, რომელიც მიმართულია ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, მიეცეს საერთაშორისო შეფასებები. საბოლოო ჯამში, ჩვენ ეს პოლიტიკა აუცილებლად მიგვიყვანს ქვეყნის დეოკუპაციისა და საქართველოს გამთლიანებისკენ“, — განაცხადა ფხალაძემ.



◎ არჩევნების შემდგომი ციებ-ცხელების გამო

ვისწავლოთ ღირსეულად დამარცხება!

არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე სრულიად საქართველოს გასაგონად ვწერდი, რომ უნდა შევძლოთ ქართული სახელმწიფოს შენარჩუნება, თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის მუხტის განსაკუთრებულად გაღვივება. იმასაც ვწერდი, რომ ეს ქვეყანა ექსპერიმენტების სატარებლად აღარ უნდა ვაქციოთ. სახელმწიფო კი სახელმწიფოებრივად მოაზროვნეთა სამართავად უნდა გავხადოთ და ეს ყველაფერი ერთ

ჭრილში, მცხეთის რაიონში მიმდინარე მოვლენების ანალიზზე იყო აგებული. გარკვევით ვწერდი, რომ მცხეთის ამ უძველეს და უწმინდეს მიწაზე პატიოსნება და უპატიოსნობა ეჭიდებოდა ერთმანეთს. ანალიტიკურად ჩამოყალიბებული იყო ორივე სადებუტატო კანდიდატის წარსულისა და დღევანდელი მოქმედებების შეჯერება. რა მივიღეთ შედეგად? მივიღეთ აბსოლუტურად დემოკრატიულად ჩატარებული სადეპუტატო არჩევნები საოლქო საარჩევნო კომისიისა და ადგილობრივი ხელისუფლების გააზრებული მოქმედებით, ძალოვანი სტურქტურების შეუპოვარი კანონის დაცვითი ღონისძიებების უცილობელი ფლობით.

ქვეყანამ შეძლო, ყველგან დაეცვა აბსოლუტურად სახელმწიფოებრივი დემოკრატიული პოსტულატები. ეს ფაქტობრივად დიდი წინა პირობაა, საქართველომ შეუქცევადად აწარმოოს დემოკრატიული ღირებულებების დაცვა.

ყოველთვის მაკვირვებდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპულ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნები და სხვადასხვა რანგის ამა თუ იმ კანდიდატის მცირეოდენი უპირატესობით მოგებული მარათონები. დღეს უკვე ფაქტი აშკარაა; საქართველოშიც უამრავი მსგავსი მაგალითის მოხმობა შესაძლებელი გახდა.

აფერუმ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ნათქვამს და ასრულებულ დანაპირებს ჩატარებული არჩევნებით ევროპას გავაოცებთო. ფაქტი ცხადია! ყველაზე კრიტიკულად განწყობილმა ადამიანებმაც კი ვერ შეძლეს აქ ჩატარებული არჩევნების ხელშესახებად გაკრიტიკება.

მადლობა ამომრჩეველს მისი გონიერი გადაწყვეტილებებისათვის.

მცხეთაში კი მართლაც ღირსეულად გამარჯვებული დიმიტრი ხუნდაძე მიითვლის მილოცვებს. დამარცხებულის დღევანდელი მოქმედებები კი უკან მიდევნებული ლამპარივითაა.

მადლობა დამარცხებული ცეზარ ჩოჩელის ამომრჩეველთ, რომლებმაც არ დაიზარეს და საარჩევნო ყუთებთან ცეზარ ჩოჩელის მხარდამჭერი გადაწყვეტილება მიიღეს. ეს მათი არჩევანია და ამ არჩევანს ჩვენ ყველამ პატივი უნდა ვცეთ.

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ დიმიტრი ხუნდაძის მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ კეთილგანწყობასა და ურთიერთობის ლამაზად დამკვიდრებისკენაა მიმართული. ეს ჩანდა მის ოთხწლიან საპარლამენტო მოღვაწეობაში და ეს იქნება ლაიტმოტივი ახლად არჩეულ საკანომდებლო სტრუქტურაში.

კანონი უზენაესია. კანონიერი გზით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა საქართველოს ყველა მოქალაქის ვალია. მათ შორის იმათიც, ვინც საარჩევნო შედეგებით უკმაყოფილოა.

წაგება და მოგება ძმები არიან! არ გამკვირვებია დიმიტრი ხუნდაძის გამარჯვება, რადგან მთელ საარჩევნო ბატალიებს მის მიერ მოწინააღმდეგის დაფასება და საარჩევნო მიმდინარეობისათვის დამახასიათებელი ლანძღვა-გინების ნაცვლად კორექტული და კონსტრუქციული მოქმედებები სჭარბობდა. ესაა ექიმი კაცის განათლებისა და მისი ინტელექტუალური გააზრების ნაყოფი.

მე მგონია ამ არჩევნებმა არავის გუნება-განწყობას დაღი არ უნდა დაასვას. კეთილ-გონიერება ყველაზე დიდი და წონადი სიმდიდრეა! ამ სიმდიდრეს ვერც მოიპარავ და ვერც ვერავის ვერ წაართმევ. ამიტომ მჯერა რომ მცხეთის რაიონი სიმშვიდისა და ღირსების ეტალონად დარჩება. ასეთი იყო, ასეთად მახსოვს და ხვალინდელი დღეც მისი ასე წარმომიდგენია.

არ ივარგებს არავის მიერ, რომ ახალგორი და მისი მოსახლეობა წარმოაჩინოს ვინმეს საწინააღმდეგო ბასტიონად, მინდა, ყველას ვურჩიო ქსანელები, მთიულთა ულამაზესი შვილები ყველა დროს გამორჩეულნი და შეუვალნი იყვნენ. ყველაზე კარგად მთამ იცოდა გამარჯვებულის დაფასება. დამარცხებულიც ღირსეულად აღიარებდა სიძლიერის ფენომენს, ამიტომ მინდა, რომ ყური მივუგდოთ ჩვენს წინაპართა ლამაზ ქმედებებს, ამიტომ მინდა, გავყვეთ მათ ღირსეულ ნაუბარს და არავის მოეჩვენოს, რომ ამ ადამიანებს არასწორ ნაბიჯს გადაადგმევინებს.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ ღირსეული დამარცხება! უნდა ვისწავლოთ დამარცხების შემდეგ გამარჯვებისათვის მზადება, ესაა ღირსება და ესაა წინსვლის გარანტიაც.

მჯერა, მცხეთამ უსერიოზულესად სწორი არჩევანი გააკეთა! მცხეთამ კიდევ ერთხელ ტოლერანტობისა და ურთიერთობის უდიდესი გაკვეთილი ჩააბარა. ყოჩაღ და მადლობა თქვენ, მცხეთელებო და ქსანელებო, თეძმისა და არაგვის ხეობელებო, მუხრანელებო და ნიჩბისელებო, ყოჩაღ რომ გვერდით ორივე კანდიდატს ედექით! მაგრამ თუ უპირატესობა დიმიტრი ხუნდაძეს ერგო და თქვენ მიერ მანდატმიცემული ისევ ისეთი შემართებით გააგრძელებს საკანონმდებლო საქიმანობას, ეს მთელი მცხეთის რაიონის უპირობო გამარჯვება იქნება!

კობა გუჩუკური,
მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი

◎ ხმა მღალადებლისა...

რატომ ვიგდებთ აბუჩად შეწუხებულ მოქალაქეს?!.

მეორე ღია წერილი საქართველოს მთავარ პროკურორს, ბ-ნ ირ. შოთაძეს

ბატონო ირაკლი,

ძალიან წუხვარ, რომ სამი თვის შემდეგ ისევ მოგმართავთ ღია წერილით და ისევ იმ საკითხზე, რაც ნამდვილად არ არის ნორმალური მოვლენა და ვერაფერ პატივს მატებს თქვენს უწყებას, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობა იმედით შეჰყურებს.

საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ ა.წ. 14 ივნისს, უპირველეს ქართულ გაზეთში — „საქართველოს რესპუბლიკა"-ში, გამოვაქვეყნე შემაშფოთებელი ინფორმაცია აშკარა კრიმინალზე და, კანონის თანახმად, უმალ უნდა დაწყებულიყო გამოძიება, მაგრამ ამაოდ. მაშინ, 5 ივლისს, მთავარ პროკურატურაში, ცხადია, თქვენს სახელზე შემოვიტანე სათანადო განცხადება (01/13 — 62849) — არც ამან გაჭრა და 4 აგვისტოს ისევ შემოვიტანე თქვენს სახელზე მეორე განცხადება (01/13 — 93784) და თან დავურთე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" ხსენებული ნომერი.

მას შემდეგ გავიდა 3 თვე და ისევ არავითარი შედეგი — არ იწყება გამოძიება. ეს პროკურორის პრეროგატივა არისო, მეუბნებიან. პროკურორი კი იდუმალების მანტიაშია გახვეული და არც ვიცი, ვინ არის, რას ფიქრობს... ორჯერ უკვე გამესაუბრა **მესამე** გამომძიებელი. ორივე დოკუმენტს ხელი მოვაწერე და ეგ არის. მესამეჯერ უკვე აღარც მივალ — უამრავი საქმე მაქვს, უამრავი! პლაგიატი რომ აშკარაა, ცხადიაო, მეუბნებიან, მაგრამ **პროცედურაა** გასავლელიო და ა.შ. ჩემი ასაკისა და გამოცდილების კაცს ვერავინ მასწავლის, რაა **პროცედურა** და მისთ. იქით ვუტარებ საჯაროდ პროფესიულ სემინარებს ყველას, ვინც ამას საჭიროებს, და, მათ შორის, არც თქვენი თანამშრომლებისთვისაც დავიზარებდი...

სანამ შეიძლება გაგრძელდეს ასეთი ტყუილები?!

ასე მთავრდებოდა ჩემი პირველი ღია წერილი თქვენდამი, მეორე ნამდვილად არ მინდა, ასე დავამთავრო — აშკარაა, ეს წერილები თქვენამდე საერთოდ არ მოდის და ვიღაცები თავს ირთობენ შეწუხებულ მოქალაქეთა აბუჩად აგდებით — ვიმეორებ, ეს არაა ნორმალური მოვლენა...

ამიტომაც, ახლა იძულებული ვარ, თქვენთან შეხვედრა მოვითხოვო — ვიცი, აზდაკი არ ხართ, პირადად რომ გარჩიოთ ყველა საქმე, მაგრამ მეც რა ვქნა, ბ-ნო მთავარო პროკურორო?!

გთხოვთ, გამომიყოთ 5 წუთი — პლაგიატობის ანუ ქურდობის ისეთ დოკუმენტს დაგიდებთ მაგიდაზე, რომ იტყვიან, ქვას გახეთქავს! თუმცა თქვენი იდუმალი პროკურორი ვერ ხედავს ამას და არცხვენს უწყებას, რომლის იმედი, ერთხელაც გავიმეორებ, **ჯერ** კიდევ აქვს მოსახლეობას. ნუთუ თქვენ, ქვეყნის მთავარი პროკურორი საბოლოოდ გადაწურავთ ამ იმედს?! ღმერთმა ნუ ქნას!

პატივისცემით

გ. დოლიძე,

პროფესორი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი.

როგორი პარლამენტი გვჭირდება – ერთპალატიანი თუ ორპალატიანი?

მანანა კობახიძემ არ გამორიცხა, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის ფართო ფორმატში შეთანხმება ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედებაზე შედგეს. ვიცე-სპიკერის განცხადება აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი გახდა ოპოზიციაში. „ნაციონალურ მოძრაობაში" აცხადებენ, რომ საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ.

გიორგი კანდელაკის განცხადებით, 1995 წლის ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციაში ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის საკითხი შეიძლება დადგეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და სუვერენიტეტის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გავრცელების შემდეგ.

ორპალატიანი საპარლამენტო სისტემის ამოქმედების აუცილებლობას ვერ ხედავენ „თავისუფალი დემოკრატები", როგორც ნინო გოგუაძე აცხადებს, ორპალატიანი სისტემა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციაში იმ ნორმას, რომლის მიხედვითაც წარმომადგენლობა აფხაზეთიდანაც უნდა იყოს.

განსხვავებულია კონსტიტუციონალისტების პოზიცია, რომლებიც ქვეყანაში ორპალატიანი საპარლამენტო სისტემის ამოქმედების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი თვლის, რომ ორპალატიანმა პარლამენტმა და ტერიტორიული მოწყობის საკითხის განსაზღვრამ, შესაძლოა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეინტეგრაციისთვის გარკვეული პირობები შექმნას.

კონსტიტუციონალისტ **ვახტანგ ძაბირაძის** განცხადებით, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიდო ჩანაწერი ორპალატიანი პარლამენტის არსებობის შესახებ, ითქვა, რომ ჯერჯერობით იყოს ერთი პალატა, ანუ ქვედა პალატა რესპუბლიკის საბჭო და არა სენატი, რომელიც წარმომადგენლობითია.

„მაგრამ უარი ითქვა ამ ნაბიჯის გადადგმაზე, სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ ტერიტორიული მოწყობის საკითხები უკავშირდებოდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემას. ეს საკითხი მაშინ ღიად დარჩა, იმდენად, რამდენად ეს პრობლემები არ იყო მოგვარებული. ძალიან მეეჭვება, რომ ორპალატიან სისტემაზე გადასვლამ ამ პრობლემების მოგვარებას რაღაცნაირად შეუწყოს ხელი", — აცხადებს ვახტანგ ძაბირაძე.

როგორც ირკვევა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შესაბამის ჯგუფში ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედების საკითხი პირდაპირ არ დასმულა, მაგრამ როგორც კონსტიტუციონალისტი **ვახუშტი მენაბდე** ამბობს, ერთ-ერთი განხილვის დროს აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა საკითხს საქართველოს პარლამენტი უნდა ყოფილიყო ერთპალატიანი თუ ორპალატიანი.

for.ge-სთან საუბრისას მენაბდე აცხადებს, რომ ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ საჭიროებიდან, რომლის წინაშე ვდგავართ, რადგან რეალურად არ არსებობს უნივერსალური მოდელი და ერთი სწორი პასუხი იმაზე, თუ როგორი და რომელი კონსტიტუციური სისტემა სჯობს.

თამთა ქარჩავა



საქართველოს ეროვნული ბანკი გვაფრთხილებს!

საქართველოს ეროვნული ბანკი სახსრების განთავსების რისკებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ 2013 წლიდან აფრთხილებდა მოქალაქეებს (2013, 2016), რომ ის საფინანსო კომპანიები, რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ კონტროლდება ეროვნული ბანკის მიერ, შესაძლოა, ფიზიკური პირებისაგან მოზიდულ სახსრებს საკმაოდ რისკიან აქტივებსა თუ ბიზნესსაქმიანობაში აბანდებენ. რიგ შემთხვევაში კი მათი საქმიანობა, „ფინანსური პირამიდის“ ნიშნებსაც ატარებს.

საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, ეროვნული ბანკის მიერ, მთავრობასთან ერთობლივი მუშაობის შედეგად მომზადდა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც სხვა პრობლემატურ საკითხთან ერთად, აღნიშნული საკითხის შესაბამის ჩარჩოში მოქცევას ითვალისწინებს და რომლის განხილვას ახალი მოწვევის პარლამენტი, სავარაუდოდ, შეკრებისთანავე დაიწყებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ აფრთხილებს მოსახლეობას, საკუთარი თანხების დაბანდებამდე, მათი დაკარგვის რისკის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად გამოიჩინონ განსაკუთრებული სიფრთხილე და მიიღონ გონივრული და ინფორმირებული გადაწყვეტილება. აღნიშნული ეხება სხვადასხვა იურიდიული პირის მხრიდან მაღალი საპროცენტო სარგებლის დაპირების სანაცვლოდ თანხების სესხის, ან თამასუქის სახით მოზიდვას. ასევე, თანხის დაბანდებამდე აუცილებლად გაითვალისწინონ, რომ მაღალი საპროცენტო სარგებელი, სხვა თანაბარ პირობებში, გულისხმობს მაღალ რისკს.

რესტორნებისა და სასტუმროების ხარისხის დონე იზრდება

აჭარაში რესტორნებისა და სასტუმროებისთვის ხარისხის ნიშნის „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტი მიერ“ მინიჭება გრძელდება. 1 ნოემბრიდან აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა პროექტის მესამე ეტაპი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც 26 განთავსებისა და კვების ობიექტში სანდასუფთავების, სურსათუვნებლობის, უსაფრთხოებისა და ტექნიკური სტანდარტები შემოწმდება. დეკემბერში კი იმ ობიექტებს, რომლებიც საერთაშორისო კრიტერიუმებს დააკმაყოფილებენ, ხარისხის ნიშანი „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ გადაეცემა.

ამ ეტაპისთვის პროექტში დარეგისტრირებული 106 ობიექტიდან ხარისხის ნიშანი მხოლოდ 48 რესტორანმა და სასტუმრომ მიიღო. წლის ბოლომდე, კი მათი რიცხვი ისევ გაიზრდება.

„30 ოქტომბრის საღამოს, საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგებისადმი მიძღვნილი შემაჯამებელი გადაცემა პირველ არხზე!“ საზმაუზე არაერთგზის გაჟღერებულმა ანონსმა, რა თქმა უნდა, დამაინტერესა.

...ხელოვნური მცენარეები, ისეთები, სასტუმროს ფოიეში რომ გვხვდება, ხის ე.წ. ვინტაჟური სკამები, შუშის მაგიდა და ეკრანები, ინტერიერი უგემოვნოდ მოწყობილი სახლის ოთახს რომ მოგაგონებს, ეკლექტურს... კედლებზე ჩამოკიდებულ ტელევიზორებში ჩანს რომის, პარიზის, პრაღის... ხედები, კიდევ პალმებიანი პლაჟები, სხვადასხვა ქუჩები, შიგადაშიგ თბილისის ხედებიც დავლანდე...

ეს ყოველივე რომელიმე „მეშჩანის“ სახლი არ გეგონოთ, ეს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის სატელევიზიო სტუდია-პავილიონია, საიდანაც მიმდინარეობს ბოლო საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების მიმოხილვისთვის შექმნილი სპეციალური გადაცემა, რომელსაც წამყვან-ორგანიზატორთა წინასწარ „დაანონსებული“ ჩანაფიქრით ამ „შესანიშნავ“ და „გემოვნებიან“, თანამედროვე დიზაინის მქონე სატელევიზიო სივრცეში ორსაათნახევრის განმავლობაში უნდა მიეჯაჭვოს მაყურებელი. არ ვიცი რამდენი „მიეჯაჭვა“, მაგრამ მე თავიდან ბოლომდე ვაჟკაცურად გავუძელი. შიგადაშიგ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, თუ რა მრჯიდა, რატომ „ვიკლავდი“ თავს...

სადღაც შუა გადაცემისას გადავწყვიტე, საზმაუსთვის „სამაგიერო“ გადამეხადა დაკარგული დროის სანაცვლოდ და ამ სახელდახელო „რეცენზიით“ მომავლის საქმე გამეკეთებინა, იმ გაგებით, რომ მეტი ასეთი სისულელე აღარ გავაკეთო და დრო ასე ფუჭად არ დავკარგო.

...გემოვნებაზე, რა თქმა უნდა, არ დავობენ, მაგრამ... ის კი გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ამ სტუდიის „გაფორმებამ“, ე.წ. „თანამედროვე“ დიზაინმა, ამ „გემოვნებამ“ ის სტილი და გარემო გამახსენა, რომლითაც 30-35 (!!!) წლის წინათ, „პირველი არხის ეკრანზე „კეკლუცობდა“ იგივე სახელწოდების გადაცემა – გელა ჩარკვიანის „გლობუსი“.

თუმცა, უკაცრავად და, რა შედარებაა, გელა ჩარკვიანი და... გიორგი გვიმრაძე.

გავყვეთ „გლობუსს“, ამჯერად ახალს (?!)

...თავად ეს გარემო პირველივე წუთიდან გვამცნობს, რომ საუბარი იქნება მშვიდი, აუღელვებელი, რადგან წარმოუდგენელია ასეთ გარემოში რაიმე სახის ვნებათაღელვას ელოდეს მაყურებელი. მერე რა, რომ სტუდიის გარეთ ყველაფერი დუღს და გადადუღს – საარჩევნო უბნებში ხმებს ითვლიან და მეორე გადამწყვეტი ტურის მოლოდინში მოსახლეობის განწყობა უკიდურესად დამუხტულია. როგორც ჩანს, ამ დაძაბულობის „მოხსნისთვის“ ფსიქოთერაპიულ ეფექტზე ზრუნავს პირველი არხი. და, რა თქმა უნდა, კეთილშობილური ჩანაფიქრი – ეს „მზრუნველობა“ პოზიტიური აქტი უნდა იყოს: **საზოგადოებრივმა არხმა უნდა დაამშვიდოს, დააწყნაროს „აჟიტირებული“ აუდიტორია. უნდა ეცადოს მაყურებლის დარწმუნებას იმაში, რომ არჩევნები არ არის ნერვების დასაწყვეტად გამოგონილი „აქცია“, რომ მისი აქტივობა, რომელიც, უწინარესად, არჩევნებში მონაწილეობით (!) და მის მიერ მოწონებულ-მხარდაჭერილი კონკრეტული სუბიექტის სასარგებლოდ ხმის მიცემით გამოიხატება, ემსახურება მის უკეთეს „ხვალეს“, ანუ ჩვენ მომავალ სიმშვიდეს (!!!).**

თავდაპირველი განწყობა დადებითია, არხი თითქოს ცდილობს ამ მშვენიერი მიზნისკენ სწრაფვას, მაგრამ...

თანდათან იმის ეჭვი ჩნდება, არის კი ადეკვატური გადაცემის წამყვანთა სურვილი იმისა, რისი მოლოდინიც აქვს ამ დღეს მაყურებელს? დღეს მას დამშვიდება და სულის შებერვა ამ გზით სჭირდება თუ იმ ინფორმაციის მიღებით, რასაც აგერ უკვე თითქმის ნახევარი წელია, ელოდება და რამაც უნდა დაარწმუნოს იგი რომ, მმართველი პარტიის და მოქიშპე ძალების მეოხებით, ხელისუფლების, ანუ სახელმწიფოს უზრუნველყოფით შედგა გამჭვირვალე, პატიოსანი არჩევნები? ეგებ, სწორედ ამ ინფორმაციის მიწოდების ფორმებზე უნდა ეფიქრათ პირველარხელებს და თუ ეს „მიწოდება“ ორგანულად ჩაჯდებოდა მათ სწრაფვაში და აღტყინებული აუდიტორიის ემოციები გადავიდოდა სიდინჯის, ობიექტური ანალიტიკის რელსებზე, აი, მაშინ კი იქნებოდა ეს მიზანი მიღწეული. მაგრამ იმისათვის, რომ ამ რელსებზე გადაიყვანო მაყურებელი, თავად უნდა იდგე, ან გინდოდეს მაინც დგომა სწორ გზაზე...

ვფიქრობ, ამ ამოცანის შესრულება ვერ (არ) მოხერხდა, მიზნამდე გზა ბოლომდე ვერ (არ) გასრულდა. და ამას, ალბათ, ხელი შეუწყო გადაცემის „განსხვავებულმა“ და ჯერ აქამდე „არქმნილმა“ ფორმატმაც: სამი (!) არხი ერთდროულად იქნება წარმოდგენილი ერთ (!) არხზე – საზმაუზე. არ მინდა, გავიზიარო ქვეტექსტი: ხომ უნდა შევახსენოთ მაყურებელს, რომ ჩვენ მხოლოდ ერთ არხს კი არ „ვარჩენთ“ ჩვენი (ანუ თქვენი) ფულით, არამედ სამს და აი, ბატონო, ნახეთ როგორი სამი არხი გვაქვს: პირველი, მეორე და აჭარის ტელევიზია. და ისინი სამივე ერთად გამოჩნდა ეთერში. მეორე საკითხია, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ეს „ხერხი“, უფრო სიღრმისეულად, რატომ იყო აუცილებელი ამ სამ არხზე იმის გაშლა, რაც ერთ არხზეც სულ ადვილად, მარტივად, ნაკლები დანახარჯებით და მეტი ეფექტიანობით შეიძლებოდა გვეჩვენებინა და შედეგიც მიგვეღო? თან, ღიმილისმომგვრელია ის, რომ ეს „ფოკუსი“ მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა, მერე გვითხრეს, „თავპირიც გიმტვრევიათ“ – ახლა აირჩეთ რომელი უფრო გაინტერესებთ და იმ არხზე გააგრძელეთ გადაცემის ნახვაო.

ძნელი სათქმელია, რომ იმ დაანონსებული თემატიკიდან და სტუმრებიდან, რომელიც ამ არხებმა შემოგვთავაზეს, მაყურებელს რომელიმე განსაკუთრებული ინტერესით აერჩია, რადგან არც ერთი მათგანი არ გვთავაზობ-

და მთავარს – რა ხდება ახლა საარჩევნო უბნებთან, ვინ ლიდერობს, ვის რა მოლოდინი აქვს და საერთოდ რა განწყობაა პარტიების როგორც საარჩევნო შტაბებში, ისე უბრალო მოსახლეობაში, ამომრჩეველში.

ამის სანაცვლოდ კი რას დაეთმო ორსაათნახევრიანი ეთერი? პრაქტიკულად, ყველაფერს და საბოლოო ჯამში არაფერს. თუმცა როგორ არა, ეს ეთერი დაეთმო იმის მცდელობას, რომ მაყურებელი (თუკი იმ საღამოს ვინმე შერჩა პირველ არხს) დარწმუნებულიყო მისი წამყვანების და განსაკუთრებით ახალი სახის, ვინმე გიორგი გვიმრაძის „მაღალ ერუდიციაში“, „ყოვლისმცოდნეობაში“, „სპეციფიკური ტერმინოლოგიის“ ცოდნაში, ინტონაციურ დამაჯერებლობაში და უნივერსალურობაში.

დააბრალეთ ჩემს უცოდინრობას, არაინფორმირებულობას და კიდევ სხვა რამეს, რაც გინდათ, მაგრამ საინტერესო კია, საიდან გაჩნდა, საიდან მოვიდა ამ უმნიშვნელოვანეს დღეს, უმნიშვნელოვანესი გადაცემის წამყვანად პერსონა, რომელსაც აქამდე მაყურებელი არ იცნობდა და, აქედან გამომდინარე, მისდამი ნდობა, უბრალოდ, არ არსებობდა. არადა, ასეთი ტიპის გადაცემების წამყვანი, მით უმეტეს, ასეთ მნიშვნელოვან დღეს, ასეთ არაორდინარულ ატმოსფეროში, კი უნდა სარგებლობდეს ტელეაუდიტორიის ნდობით, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს კომპეტენციაზე, ერუდიციაზე, გამოცდილებაზე, ცნობადობაზე, რაც განსაზღვრავს კიდეც ნდობის ხარისხს.

...ისევ მივყვეთ თანმიმდევრობას, რათა უფრო კარგად გავერკვეთ იმაში, თუ რას ეძღვნებოდა სინამდვილეში ეს საარჩევნოდ შემოთავაზებული პროექტი.

უშუალოდ არჩევნების დასრულების კონკრეტულ საკითხებს თამთა სანიკიძის ერთი მცირე ბლოკი დაეთმო, რომლის დროსაც, როგორც პირველკლასელებისთვისაც კი მოსალოდნელი იყო, რომ ნაცმოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის ნებისმიერი კანდიდატი (ამჯერად, ნიკა რურუა) ისაუბრებდა არჩევნების გაყალბებაზე, ამომრჩევლის დაშინებაზე, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე და ა.შ. რა თქმა უნდა, ასეც მოხდა.

მოვემზადე იმისთვის, თუ როგორ მოითხოვდა წამყვანი (მაყურებლების სახელით) ჩვენთვის მეტისმეტად საინტერესო ინფორმაციას, ჰქონდა თუ არა ნაცმოელ რურუას ამ ბრალდებების დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები... მაგრამ, რატომღაც, წამყვანი არ დაინტერესდა ამ თემით. არადა, ამ დღესაც, ისევე როგორც შემდგომ დღეებში, ოპოზიცია ატრიალებს და ატრიალებს ამ „ბრალდებებს“, საზმაუდან კი არც იმ საღამოს და არც შემდგომ, არავითარი დაინტერესება. მისთვის მთავარი მაინც ის ყოფილა, აღიარებდა თუ არა რურუა – სავარაუდოდ, უკვე დამარცხებული კანდიდატი არჩევნების შედეგებს, ანუ იქნებოდა თუ არა... სკანდალი!

სკანდალის გაღვივებას კი „ცივი წყალი“ გადაასხა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი კობახიძის ჩართვამ, რომელმაც, რა თქმა უნდა, უარყო ყველა ბრალდება და თქვა, რომ ოცნება დამაჯერებლად გაიმარჯვებდა, და რომ უკვე იცის, თითქმის ყველა ოლქში გაიმარჯვა.

არც ამ „ნაადრევ“ განცხადებას მოჰყოლია წამყვანის რეაქცია, თუმცა, ბატონი კობახიძის დამაჯერებლობა, მაინც ითხოვდა დამატებითი და დამაზუსტებელი შეკითხვების აუცილებლობას.

ამ ორი ინტერვიუდან პრაქტიკულად ახალი არაფერი გაუგია მაყურებელს, ყველაფერი, რაც ამ ორი რესპონდენტის მიერ იყო ნათქვამი, ადრეც ბევრჯერ თქმული და გაგონილი ჰქონდა მაყურებელს.

სამაგიეროდ, ამის შემდეგ იწყება პირველ არხზე ის, რაც ძნელად თუ გაუგია და ან მოუსმენია მაყურებელს – ყოველ შემთხვევაში ისეთ ენაზე დაიწყო არხმა საუბარი, რომ სულ მცირე უცხო სიტყვათა ლექსიკონი მაინც მომარჯვებული უნდა ჰქონოდა, რომ გაეგო რაზე საუბრობდნენ არხის წამყვანი და მისი სტუმრები. თუმცა მხოლოდ უცხო სიტყვათა ლექსიკონი არ გეყოფოდა აზრის გასაგებად, აუცილებლად დაგჭირდებოდა სხვადასხვა მეცნიერებათა ტერმინოლოგიური ლექსიკონებიც და თუ ასეთებს ვერ მოიძიებდი, პულტი მაინც გვერდით გექნებოდა და ღილაკზე ერთი თითის დაჭერით ისეთივე ქმედებას ჩაიდენდი, რასაც აქამდეც არაერთხელ სჩადიოდი პირველ არხთან მიმართებაში – სხვა არხზე გადართავდი და ან მეტ ინფორმაციას მიიღებდი ან... დაისვენებდი მაინც.

მაგრამ, ვიმედოვნებ, ჩემსავით „განწირული“ ვიღაც მაინც დარჩებოდა ამ არხზე იმის მოლოდინში, რომ, ბოლოს და ბოლოს, მას, ამომრჩეველს გააგებინებდა მისი ფულით დაფინანსებული პირველი არხის ჟურნალისტები შეასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას და „გააგებინებდნენ“ იმას, თუ რა ხდებოდა მას შემდეგ, რაც მან და ათეულათასობით ამომრჩეველმა მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი (ესტუმრა მეორედ, ზოგიც – მესამედ, საარჩევნო უბნებს), რით დასრულდა მისი აქტივობა, ვინ გაიმარჯვა ან ვინ იმარჯვებს და... ამის გამო ვინ წუხს და ვის უხარია.

მაგრამ ამ მაყურებლის მოლოდინი სრულიად უშედეგო აღმოჩნდა. პირველმა არხმა 2 საათის განმავლობაში ისაუბრა არჩევნების გარდა ყველაფერზე, რაც კი კაცობრიობას აწუხებს და რაც ჩვენთვისაც, როგორც კაცობრიობის ნაწილისთვის, ასევე, პრობლემურია. მაგრამ, რა შუაშია ეს თემები ჩვენი საპარლამენტო მეორე ტურთან?

ნამდვილად საინტერესო იყო ზოგიერთი სტუმრის მოსმენა, მაგალითად, ერთობ სასიამოვნო რესპონდენტია ბ-ნი პაატა ქურდაძე, მწერალი და პუბლიცისტი, გემოვნებით ჩაცმული, ინტელიგენტური გარეგნობის და ტკბილად მოსაუბრე, მაგრამ რას ვერჩოდით ბ-ნ პაატას და მაყურებელს, რომ მისი საუბარი არჩევნების მეორე ტურის შედეგებთან დაკავშირებულ გადაცემაში დავგეგმეთ? მიუხედავად იმისა, რომ პაატა ქურდაძე საინტერესო მოსაუბრეა, მისი საუბრის რიტმი, განწყობა და თემტიკა ემთხვეოდა კი იმ რიტმს, იმ ფსიქოემოციურ განწყობას, რაც არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ გააჩნდა ეკრანის წინ მსხდომ მაყურებელს?

ასეთი გადაცემა და ასეთი ტიპის დისკუსიები, ალბათ, მას შემდეგ უნდა გაიმართოს, რაც ჩაცხრება ვნებათაღელვა, რაც დალაგდება მეტ-ნაკლებად სიტუაცია და შესაძლებელი იქნება საუბარი არა მხოლოდ ვარაუდებზე, არამედ რეალურ მოლოდინებზე. ამ დღეს კი

ორი ნაბიჯი უკან და არც ერთი ნაბიჯი წინ,

ანუ საზმაუს საუბარი ყველაფერზე და არაფერზე

ინტელექტუალური საუბრები, ბევრისთვის გაუგებარი ტერმინოლოგიით, სრულიად აცდენილი იყო იმ მოლოდინს, რაც ამ საღამოს გაჩნდა მაყურებელს – საქართველოს მოსახლეობას, სოფლად თუ ქალაქად. ვიმეორებ, ჩემი და ბევრი მაყურებლის სიმპათიების მიუხედავად, ამ საღამოს ეთერში მისი სტუმრობა არა მომგებიანი, არამედ წამგებიანი აღმოჩნდებოდა არა მხოლოდ ამ არხისთვის, არამედ თავად რესპონდენტისთვისაც. არადა, არხი, ჟურნალისტები უნდა უფრთხილდებოდნენ ასეთ რესპონდენტებს, უნდა უქმნიდნენ მათ შესაბამის კომფორტს.

...თუმცა პაატა ქურდაძეთან საუბარი არაფერია იმასთან შედარებით რაც მას უძღოდა წინ და რაც მოსდევდა ამ საუბარს შემდგომ.

არჩევნების „ინტელექტუალური“ შეფასების პირველ ბლოკში გიორგი გვიმრაძის სტუმარი იყო ორგანიზაცია „ნიდერლანდების ინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის“ წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ლევან ცუცქირიძე. სავარაუდოა, რომ სტუმრის მოწვევა არჩევნების შეფასებისთვის განაპირობა მისი ორგანიზაციის დასახელების მეორე ნაწილმა – „მრავალპარტიული განვითრებისთვის“. საზოგადოებრივი მაუწყებელი ღიად თუ შეფარვით მიანიშნებს, რომ მრავალპარტიული განვითრება არის უფრო პროგრესული და დემოკრატიული, ვიდრე ის, რაც ახლა მოხდა და ერთმა პარტიამ, შესაძლოა, მიიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. სხვა გამართლება ამ პიროვნების მოწვევას, ალბათ, არც ჰქონდა, რადგან პირველსავე შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა არჩევნები და იყო თუ არა დარღვევები და როგორ აფასებდა ის ამ დარღვევებს, სტუმარმა უპასუხა, რომ მისი ორგანიზაცია არ იყო დამკვირვებელთა რიგებში და ისინი ეყრდნობიან საერთაშორისო და სხვა დამკვირვებლების დასკვნებს (?). ამის შესახებ, როგორც ჩანს, არ იცოდა წამყვანმა და ამიტომ შეცვალა საუბრის თემატიკა და ყველა სხვა კითხვა ეხებოდა სრულიად განსხვავებულ და ხშირად არჩევნების მეორე ტურთან და, თუნდაც, პირველ ტურთან დაკავშირებულ საკითხებს. მაგალითად, თამთა სანიკიძემ ისიც კი იკითხა, როგორ აფასებდა სტუმარი წინასაარჩევნოდ ფარული ჩანაწერების გავრცელების საკითხს. ნეტავ რას ელის წამყვანი ასეთი კითხვის დასმის დროს? რას უპასუხებს რესპონდენტი – დადებითად ვაფასებ, მივესალმები და რაც მეტს აჩვენებენ, მით უფრო კარგიაო? რა თქმა უნდა, ამ პატივცემულმა სტუმარმაც დაგმო ასეთი ჩანაწერების არსებობა და მათი საჯარო ჩვენება. აქვე ისიც არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ეს სერიოზული საუბარი მეტად მტკივნეულ და საჩოთირო საკითხზე მიმდინარეობდა მსოფლიო ქალაქების კოლაჟის ფონზე, რომელიც სტუმრის უკან დაკიდებულ ტელეეკრანზე გადიოდა. არა მგონია, ამას რაიმე სიმბოლური ან პირობითი დატვირთვა ჰქონოდა. და გადაცემის რეჟისორს სპეციალურად შეერჩია ამ მიზნით ეს კადრები.

საზოგადოდ ერთი კითხვა უდავოდ გაუჩნდებოდა მაყურებელს ამ დიალოგის მიმდინარეობის თვალყურის დევნებისას. ნუთუ ეს ორგანიზაცია, ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული განვითარებისთვის“ არის ის ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ყველა საკითხზე, რაც არსებობს ქართულ და არა მხოლოდ ქართულ პოლიტიკაში? ნუთუ მისი მუშაობის პროფილი ეხება არჩევნებს, ნუთუ ის იკვლევს და შესაბამისად შეუძლია რჩევა მისცეს პარლამენტს მიღმა დარჩენილ პარტიებს, მომავალში უნდა გააგრძელონ თუ არა პოლიტიკური საქმიანობა და ა.შ.? ნეტავ, რას ელოდა წამყვანი, ამას რომ ეკითხებოდა? ის რა, უპასუხებდა, უნდა დაიშალონ და გაქრნენო? და საინტერესოა, ამ პარტიებს ამ პატივცემული სტუმრის მოსაზრება სტიმულს მისცემს მომავალ საქმიანობაში? არავითარი საფუძველი არ მაქვს, ეჭვი შევიტანო, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხი არის ამ ორგანიზაციის ინტერესის სფერო, მაგრამ მაუწყებელმა ამის შესახებ ხომ უნდა უთხრას მაყურებელს? ხომ უნდა განუმარტოს, რატომ აფასებინებს ლევან ცუცქირიძეს არჩევნების მიმდინარეობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი ორგანიზაცია, მისივე თქმით, არ აკვირდებოდა ამ პროცესს? თუ ეს პიროვნება არის მნიშვნელოვანი ექსპერტი ამ საკითხებში, ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მაყურებელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაყურებლისთვის არანაირად არ შეიძლება იყოს სარწმუნო მისი მოსაზრებები და, შესაბამისად, მაუწყებლის მიმართ ნდობაც ამ კონკრეტულ მომენტში შესაძლოა, რომ ეჭვქვეშ დადგეს.

კიდევ ორი ბლოკი იყო ეთერში, რომლებშიც საუბარი კი იწყებოდა არჩევნებით, მაგრამ ძალიან მალე თემა იცვლებოდა და... გრძელდებოდა აბსოლუტურად სხვა საკითხზე, რომელსაც მაყურებელი ვერც კი გაარკვევდა...რომელზე. ყოველ შემთხვევაში, ჩემნაირი რიგითი მაყურებლისთვის გაუგებარ საკითხზე, გაუგებარ ენაზე და გაუგებარი მიზნისთვის. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის არსებობის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენება მაუწყებელმა სპეციალურად ისე წარმოაჩინა, რომ მაყურებლის უმრავლესობა ვერ მიმხვდარიყო, კარგია ეს თუ ცუდი, გვავნებს თუ გვასარგებლებს. წამყვანიც და სტუმრებიც ისეთ ტკბობას მიეცნენ საკუთარი მოსაზრებების საჯაროდ დემონსტრირების და ერთმანეთისთვის აზრის გაზიარების პროცესში, რომ სრულიად დაავიწყდათ ვისთვის საუბრობდნენ, როდის საუბრობდნენ და რატომ საუბრობდნენ, უკვე შუაღამეს მიტანებულ დროს, პირველი არხის ეთერში.

იგივე ითქმის გადაცემის ბოლო ბლოკზე, რომელიც, გიორგი გვიმრაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, დაეთმო „ჩვენი არჩევანის საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს“. გაფაციცებით ვუსმენდი რას ნიშნავდა ორი საათის განმავლობაში მრავალგზის წარმოთქმული ეს ფრაზა. მაგრამ ჩემი გამორჩეულად დაძაბული ყურადღების მიუხედავად, ბევრი ვერაფერი გავარკვიე. ერთი კი გავიგე, რომ, თურმე, არსებობს ორნიშნიანი ეკონომიკური ზრდა, თუმცა, არავინ განმარტა რას ნიშნავს ეს? ასევე მოსახლეობის დიდმა პროცენტმა არ იცის, რომ, თურმე, არსებობს მემარცხენე და მემარჯვენეთა შორის დაპირისპირება, რომ კიდევ არიან ცენტრისტები, რომლებსაც სულ სხვა ეკონომიკური პოლიტიკა აქვთ. ასევე, მეეჭვება ბევრმა იცოდეს რას ნიშნავს ფისკალური პოლიტიკა დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით და ა.შ. საინტერესოა, იმ შემთხვევაში თუ ამ ყოველივეს არ განმარტავს არც წამყვანი და არც სტუმრები, რატომ შეიძლება ეს ტერმინები და თემები საინტერესო იყოს მაყურებლისთვის? ვისთვის საუბრობენ სტუმრები – ერთმანეთისთვის თუ მხოლოდ წამყვანისთვის?

სამწუხაროდ, მთლიანად ამ გადაცემის ენა, ლექსიკა, ალბათ, უფრო მიესადაგება სადისკუსიო კლუბს, სიმპოზიუმს, ან რაიმე სამეცნიერო „მრგვალ მაგიდას“ და არამცდაარამც სატელევიზიო მედიას, რაც გულისხმობს ენის სიმარტივეს, აზრის სისადავეს და საყოველთაო წვდომას, მით უფრო, არჩევნების მეორე ტურის დასრულების ღამეს.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმის მცდელობის მიუხედავად, ეთქვა ახალი, განსხვავებული სიტყვა პოლიტიკური შოუს არქიტექტონიკის და მისი წაყვანის სტილისტიკის საქმეში, პრაქტიკულად აცდა თანამედროვე მოთხოვნებს, მაყურებლის დაკვეთას, არსებული დროის რეალურ რიტმს და, პრაქტიკულად, დაუბრუნდა იმ ძველ დროს, როცა სტუდიაში ლაპარაკობდნენ ყველაფერზე და... არაფერზე.

...შეიძლება ვინმესთვის საკამათო იყოს, მაგრამ პირადად ჩემთვის ამ გადაცემის მსვლელობისას და, მით უმეტეს, დამთავრების შემდეგ, ცხადი გახდა , რომ ამ საღამოს პირველმა არხმა (წამყვანმა) გამოამჟღავნა ტელევიზიის კანონების (რბილად რომ ვთქვათ) მწირი ცოდნა. და ამ დებულების საილუსტრაციოდ, ორი მაგალითიც კმარა.

ჯერ ერთი: წარმოვიდგინოთ მაყურებელი, რომელიც ზის, გაფაციცებით ელოდება არჩევნების შედეგებს და ამ დროს პირველი არხი ესაუბრება იმაზე, თუ ვინ უნდა გადაიღოს დოკუმენტური ფილმი, ქართველმა თუ არაქართველმა, რას ვასწავლით სკოლაში, პორნოგრაფიას თუ სხვას, როგორი საგანმანათლებლო სისტემა უნდა იყოს სკოლაში და როგორია ის საფრანგეთში და გერმანიაში. ეს ყველაფერი ზოგადად არ არის უინტერესო საკითხები, მაგრამ... ნუთუ ამ შეკითხვებზე პასუხის მოსასმენად „მიმაჯაჭვა“ საღამოს, ყველაზე ყურებად დროს (ტელეეჟარგონით „პრაიმ ტაიმ“), ეკრანს არჩევნების შედეგების მომლოდინე, ისედაც აღელვებული, ერთობ დაინტერესებული მაყურებელი?

ახლა მეორე მაგალითი: როდესაც დაძაბული რიტმის, არჩევნებთან დაკავშირებული კონკრეტული ინფორმაციების ბუნებრივი მოლოდინის რეჟიმში მყოფ მაყურებელს, სთავაზობ ზოგად საუბარს დემოკრატიის სტანდარტებზე, ექსპერიანსზე, მსაზღვრელ-საზღვრულზე, ზოგადსახელწოფებრივ პოლიტიკაზე, ნეოფაშიზმზე, ევროსკეპტიციზმზე და ა.შ. როცა ამ გაგანია მოლოდინის სიტუაციაში ითხოვ ყურადღების კონცენტრაციას თემაზე : „ევროკავშირში გაერთიანება არის თუ არა სინამდვილეში ევროპასთან ინტეგრაცია?!“ – რა კავშირშია ეს საკითხები ვაკეში, საბურთალოზე, მარნეულში, ხაშურში, მცხეთაში, ზუგდიდში, ბათუმში და სხვა „ცხელ“ წერტილებში დეპუტატობის კანდიდატების დაპირისპირებასთან?

ახლა ჩვენ დავუსვათ შეკითხვა წამყვანს (არხს): „ევროკავშირთან გაერთიანება-ინტეგრაცია“ არის მიზანი თუ ინსტრუმენტი?!“ – აი, ამ საკითხზე კონკრეტული პასუხის მისაღებად გამართეთ დისკუსია არჩევნების მეორე ტურის შედეგებისადმი მიძღვნილ გადაცემაში, თანაც, როდის? შუაღამისას?!

კი მაგრამ, პირველ არხს ხომ რამდენიმე სხვა გადაცემა აქვს, რომლებშიც ასეთი თემები მუდმივად შუქდება, ალბათ, კვლავაც გაშუქდება და, ამდენად, ამ თემებზე საუბრით ასეთი მიზნობრივი გადაცემის დატვირთვა, მხოლოდ მაყურებლის დაბნევას და დაეჭვებას რომ გამოიწვევს , ამაზე არ გიფიქრიათ?

რაც შეეხება დაეჭვებას, ეს ცალკე თემაა და ამაზედაც ღირს დაფიქრება. ასეთი გაუაზრებელი, თავსმოხვეული თემების ასე უდროო „გამოჭენება“, დიახაც რომ აჩენს „დაკვეთილი“ თემის ეჭვს, იმის ვარაუდს, რომ „ვიღაც“ ცდილობს, ამ გზით გადაფაროს უფრო მნიშვნელოვანი, უფრო „სახიფათო“ თემა და მაყურებლის, ანუ საზოგადოების ემოცია სხვა გზით, სხვა კუთხით, სხვა სიბრტყისკენ წაიყვანოს. ის რომ, ამ ეჭვს, ამ ვარაუდს, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, რეალური საფუძველი, ალბათ, არ აქვს, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების ერთ, თუნდაც ოპოზიციურად განწყობილ ნაწილს, არა აქვს უფლება ასე იფიქროს. ადგეს ახლა საზმაუს ხელმძღვანელობა და ამტკიცოს, რომ ... აქლემი არ არის!

მე, პირადად, მჯერა, რომ ასე არ არის, მაგრამ რა ვუყოთ იმ მაყურებლებს, რომელთაც რჩებათ საწინააღმდეგო შთაბეჭდილება. ყველას ვუმტკიცოთ, რომ ამ ნაკლს პოლიტიკური სარჩული კი არა აქვს, არამედ მისი საფუძველი გადაცემის წამყვანის გიორგი გვიმრაძის „კეკლუცობაა“, რომელსაც თავის პირველ მასშტაბურ ეთერში სურდა მაყურებლის (ეგებ, ხელქვეითი კოლეგების) წინაშე თავმოწონება, იმის ჩვენება, რომ ის მაღალინტელექტუალური და ყველა საკითხის უკიდურესად მცოდნე პერსონა (ხელმძღვანელი) გახლავთ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური თოქშოუს იდეალური წამყვანის შერჩევის ხანგრძლივი პროცესი დამთავრდა ახალი „დიმიტრი გელოვანის“ არენაზე გამოჩენით.

მცირეოდენი გადახვევა: საერთოდ, წამყვანების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია ჩვენი ტელეარხებისთვის და, აშკარაა, მათი შერჩევის კრიტერიუმები რადიკალურად გადასახედია. მსოფლიო ტელევიზიის გამოცდილება ამ საქმეში ამოსავალ წერტილად ინტელექტს მიიჩნევს. მერეა დანარჩენი!

ანუ, პირველი და უმთავრესი: ინტელექტი!!!! ჩვენთან?!.

დაბოლოს, ვერ ვუძლებ ცდუნებას, არ გავამხილო ერთი პირადი მოსაზრება (რომელსაც, რატომღაც მგონია, რომ არცთუ ცოტა ვინმე იზიარებს): რჩება შთაბეჭდილება, რომ საზმაუს შიგ თუ მის გარეთ მოქმედი რაღაც ძალები (პერსონები, სტრუქტურები) ფარულად თუ ღიად ყველაფერს აკეთებენ, რომ პირველი არხი – სახელმწიფო სტრუქტურა, 40-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე საზოგადოებრივი მაუწყებელი, მოწოდებული მუშაობდეს მაღალი პროფესიონალიზმის და ჟურნალისტური ეთიკის, უყოყმანო ობიექტურობის, დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების ურყევი განვითარებისთვის საჭირო პრინციპებით, იყოს ისეთი უღიმღამო, ისეთი უინტერესო, ზოგჯერ, პრიმიტიულიც კი, რომ ვერ შეძლოს სერიოზული კონკურენციის გაწევა ისეთი კერძო ტელეარხეებისთვის, როგორებიც არიან „იმედი“, „რუსთავი-2“, „ჯი-დი-ეს“...

საინტერესო კი არის, ვის ინტერესებში შედის მცდელობა, დააკნინონ დიდი ტრადიციების მქონე, ქართული ტელევიზიის მესაძირკვლე არხის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ ცხოვრებაში. ვეჭვობ, რომ ეს დაკვეთა საზოგადოებიდან მოდიოდეს. რეალობის გარკვევა სხვა დროისთვის გადავდოთ, რამეთუ ამჯერად, გადაცემის კვალდაკვალ დაწერილ ამ გამოხმაურების მიზანი ეს არ არის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთელ მენეჯმენტს და „ბორდის“ (წინა და ახლანდელი შემადგენლობის) უმრავლესობას იმის შეგნება-გაბედულება უნდა ჰქონდეთ, რომ აღიარონ: დროა, დავიხუროთ ქუდი და წავიდეთ სახლებში, რამეთუ...

პური მეპურემ უნდა აცხოს!

არც ვინმე გიორგი გვიმრაძის პერსონალური კრიტიკისთვის გავრჯილვარ, მით უმეტეს, პიროვნულად არ ვიცნობ, ცუდი არაფერი გამიგია და, არც არასოდეს გადაკვეთილა ჩვენი გზები. მე მთელი ცხოვრება ჟურნალისტიკაში ვარ და ის ახლა „ასტუმრეს“ ჩვენს პროფესიულ ოჯახს, თანაც უაღრესად მნიშვნელოვან – ჟურნალისტების ხელმძღვანელის თანამდებობაზე, თუმცა, გაურკვეველია, განსაკუთრებით, მისი ტელედებიუტის შემდეგ, რა მონაცემების საფუძველზე... კოლეგებთან და დაინტერესებულ ადამიანებთან საუბარმა საზმაუს „სამზარეულოში“ ჩამახედა და დამარწმუნა: 30 ოქტომბრის გადაცემის ჩავარდნა წამყვანის ბრალი კი არ არის, იმათი „მენეჯერული დანაშაულია“, ვინც მას, აშკარა არაპროფესიონალს, გამოცდილებით და ინტელექტუალურად ასეთი საქმისთვის მოუმზადებელ პერსონას, ეს მძიმე ტვირთი აჰკიდა.

და არა მარტო მას.

ჰოდა, საბოლოო ჯამში მივდივართ მეტისმეტად სამწუხარო ლოგიკურ დასკვნამდე: **საზმაუს მთელ მენეჯმენტს და „ბორდის“ (წინა და ახლანდელი შემადგენლობის) უმრავლესობას იმის შეგნება-გაბედულება უნდა ჰქონდეთ, რომ აღიარონ: დროა, დავიხუროთ ქუდი და წავიდეთ სახლებში, რამეთუ...**

პური მეპურემ უნდა აცხოს!

გიორგი ქოგულაძე

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №258

როდის იწყებოდა ჩვენი კულტურა

ქართული კულტურული მემკვიდრეობის პრობლემები

კულტურული მემკვიდრეობა ნებისმიერი ჰუმანიტარული სფეროს სამეცნიერო კვლევების დასკვნითი შედეგების მიღების საფუძველთა საფუძველია. კულტურული მემკვიდრეობის შეფასების აუცილებელ პირობად დგება კულტურული კუთვნილების პრობლემის გადაჭრა, რადგან კულტურული კუთვნილების საკითხს გადამწყვეტი ფუნქცია ეკისრება **საკუთარი ტერიტორიის დაცვის, ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკურ და კულტურულ სპექტრში წარდგინების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი ხდება საერთოკავასიური ინტერესების დასაცავად და კავკასიის, როგორც შუალედური მდებარეობიდან გამომდინარეს, კაცობრიობის ცივილიზაციის კვლევების ყველა პერიოდის ანალიზისათვის. მნიშვნელოვანია აზროვნების პროცესების დაფიქსირება, კულტურული მემკვიდრეობის დარგების განსაზღვრა და მათი ჩამოყალიბების თარიღის გამოკვეთა,** მაგრამ არსებობს ამ აუცილებელი პროცესის ხელშემშლელი პირობები: ქართულ მეცნიერებაში (საქართველოს ისტორიის ახალ გამოცემებში) **ბუნდოვნად არის მოწოდებული ძვ. წ. III-II ათასწლეულების თრიალეთის კულტურის პერიოდის ყორღანებში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშების შემქმნელი ხალხის ვინაობა,** ასევე ძვ. წ. II ათასწლეული მხოლოდ მითოლოგიური სახით არის წარმოდგენილი. ბერკეტების მქონე ინსტიტუციების მიერ **დღემდე არ არის ჩამოყალიბებული კულტურული მემკვიდრეობის მონოგრაფიული გამოცემისათვის პრაქტიკულად განსახორციელებელი საპროექტო გეგმა, შესაბამისად, ქართული კულტურული მემკვიდრეობის შეფასების აუცილებლობა.** ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში **დღედადღეობით არ არის დადგენილი ქართული კულტურის საწყისი თარიღი. ამავე დროს არსებობს მცდარი შეხედულება ქართული კულტურის ისტორიის საწყის თარიღად ანტიკური პერიოდის დასახელება.** კითხვა ჩნდება: **თუ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინების საფუძველზე განმტკიცებულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები ამ ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა გახლავართ, მაშ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი კულტურული ღირებულებები ვისია?** პრობლემის მოსაგვარებლად, ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგების მონაცემების, არქეოლოგიური ფაქტობრივი მასალის, ძველბერძნული წერილობითი წყაროების, ასევე გენეტიკური დასკვნების გათვალისწინებით წარმოგიდგენთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ზოგად ნიშნებს: 1) ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძველესობა, რომლის საწყისად შესაძლებელია დასახელდეს ძვ. წ. IV ათასწლეულის პერიოდიდან დაწყებული რეალობა; 2) ქართული კულტურული მემკვიდრეობის განვითარების უწყვეტი ევოლუციური პროცესი. ამ შემთხვევაში **ძვ.წ. III-II ათასწლეულები ქართული კულტურის პირველი წარმატებული პერიოდია;** 3) ქართული კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება. ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ძირითად კულტურებში: მტკვარ-არაქსის, ბედენის, თრიალეთის, შულავერ-შომუთეფეს, კოლხური კულტურის **არტეფაქტებით დასტურდება ერთიანი ტექნოლოგიური საფუძვლები, მეტალურგიისა და კერამიკული წარმოებების სახით.**

ქართული კულტურული მემკვიდრეობის უძველესობის - ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრიდან დასახელებისას, უპირველეს ყოვლისა, სამტკიცებელ მასალად აუცილებლად უნდა იყოს გააზრებული ძვ.წ. IV ათასწლეულებამდელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მოვლენები და ასევე კულტურული წანამძღვრები, კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი დარგების სახით. საქართველოს ტერიტორია ჯერ კიდევ ისტორიამდელ პერიოდში იყო ათვისებული. შეგახსენებთ ქვემო ქართლის რეგიონში, სოფელ დმანისში, უძველესი ადამიანის მსგავსი არსების აღმოჩენას, ასევე იმერეთის რეგიონში პირველყოფილი ადამიანების ნაკვალევს საწურბლიას მღვიმის (წყალტუბოს მხარე), და კოტიას კლდის მღვიმის (ჭიათურის მხარე), აღმოჩენების შესახებ. რადგან საკითხი ეხება უძველეს ათასწლეულებს, ამ შემთხვევევაში მოხმობილი უნდა იქნას ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგების მონაცემები. ამ მხრივ საქართველოს ტერიტორია

ძვ.წ. II ათასწლეული. თრიალეთის ვერცხლის თასი

ძვ. წ. III ათასწლეული, ქვასხელები. ცეცხლის გადასატანი კერამიკული ჭურჭელი

ის არეალია, სადაც ადგილი ჰქონდა უძველესი ეპოქების მნიშვნელოვან აღმოჩენებს, რომელებსაც გააჩნიათ ათასწლეულებში შექმნილი ტექნოლოგიების სიახლეების პირველობა: მათ შორის, ხალხური რეწვის ტრადიცია. კერძოდ, იმერეთის რეგიონში, ძუძუანას გამოქვაბულში აღმოჩნდა მსოფლიოში უძველესი ძაფის ნართი, დამზადებული ველური სელისაგან. ხალხური რეწვის უწყვეტი განვითარების პროცესი ვლინდება, ძვ. წ. II ათასწლეულით დათარიღებულ, წალკის ტერიტორიაზე, თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გაყვანისას, ადამიანის ნაშთთან ერთად აღმოჩენილია ბამბის, შალის, სელის ნიმუშები. საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სოფლების (ძვ.წ. VI ათასწლეულის) არსებობა მნიშვნელოვანია ე. წ. ადრემიწათმოქმედთა კულტურის გარკვევისას.საქართველოს ტერეტორიაზე აღმოჩენილია მსოფლიოში ცნობილი ხორბლის ყველაზე მეტი კულტურული სახეობა: ზოგი ავტორის მონაცემით – 11, ზოგის – 14, მათ შორის 5 ენდემური ჯიში საქართველოშია დაფიქსირებული. გურიაში, სოფელ ანასეულში, ხორბლის გაკულტურებული მარცვალი თარიღდება ძვ.წ. VII-VI ათასწლეულით. ხოლო ენდემური ხორბლის ჯიშების საფუძველზე, გამოყვანილი იქნა ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე სახეობები.

2007 წელს იუნესკომ არამატერიალური კულტურის ძეგლთა ნუსხაში შეიტანა საქართველოში ღვინის ქვევრში დაყენების უნიკალური ტრადიცია: ძვ. წ. VI ათასწლეულის ქვემო ქართლში, სოფელ იმირში, „გადაჭრილ გორაზე“ კერამიკულ ჭურჭელში აღმოჩენილი ღვინის ნალექით.

საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია მსოფლიოში 20 000 ვაზის სახეობიდან 500-ზე მეტი ჯიში, რომელიც გავრცელდა მთელ დასავლეთ ევრაზიაში.

ძველბერძნულ წერილობით წყაროებში, ბიბლიაში აღნიშნულია ქართველური მეტალურგი ტომების: ხალიბი, თობალისა, მოსინიკის შესახებ. მეტალურგიის საწყისად მიჩნეულია ძვ.წ. VI ათასწლეული. ოქროს ზოდების და ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშების აღმოჩენა სწორედ მეტალურგიული დარგის წარმატების შედეგია. ამდენად, წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის დარგები: მიწათმოქმედების, მეღვინეობის, ხალხური რეწვის, მეტალურგიის, დასტურია იმისა, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობას გააჩნდა კულტურული წანამძღვრები, რომელმაც ნიადაგი მოამზადა ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევარისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხში ჩამოყალიბებულიყო მწარმოებლური ურთიერთობა, შესაბამისად, განვითარებული სოციუმის დონე, გამოვლენილი კერამიკულ ნიმუშებში, საცხოვრებელ სახლებში, რომლის დროს, მრგვალი სახლების გვერდით, ადგილი აქვს ოთხკუთხა სახლების აშენების ტრადიციას...

ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონში, გერმანულ-ქართული ექსპედიციის მიერ, **ძვ.წ. IV ათასწლეულის II ნახევრითა და ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით დათარიღდა** საყდრისის მსოფლიოში პირველი ოქროსმოპოვებელი კერის არსებობა, რომელიც ლაპარაკობს მისი შექმნელი ხალხის გეოლოგიის, გეოდეზიის, მასალათაგამძლეობის, ქიმიის საწყისების ცოდნის შესახებ, დადასტურებული საყდრისის მაღაროსთან ახლოს (3 კმ) მდებარე ძეძვებგალიჭების ნასახლარით, სადაც მეტალურგიული პროცესის ამსახველი მთელი სურათია წარმოდგენილი. საყდრისელ მეტალურგთა შემოქმედების გავრცელება დამოწმებულია თურქეთის ტერიტორიაზე, არსლანთეფეზე. სწორედ მეტალურგია აღმოჩნდა ძვ.წ. III-II ათასწლეულების კულტურული მემკვიდეობის მნიშვნელოვანი დარგი, რომელმაც საშულება მისცა ქართველურ მეტალურგიულ ტომებს, ჩართულიყვნენ საერთაშორუსო ვაჭრობაში და ჩასულიყვნენ ხმელთაშუაზღვისპირეთში.“

მეტალურგიული ცოდნის გატანის შესაძლებლობაზე ლაპარაკობს კვირბგბისა (რუკები) და ჰომეროსის „ილიადაში“ დაფიქსირებული ზღვაოსნობის ტრადიცია, ხოლო ხარაქს პერგამონელის მიერ დასახელებული“ კოლხური ოქროდამწერლობის“ არსებობა კუნძულ კრეტაზე. ასევე წამლმცოდნეობის ანუ მედიცინის ტრადიცია – ძველბერძნული წყაროებითა და საქართველოს ტერიტორიაზე სამედიცინო იარაღების აღმოჩენით...

ქართული კულტურული მემკვიდრეობის შეფასებისა და მათი მონაცემების სახელმძღვანელოებში ჩართულობის აუცილებლობა სახეზეა, რაც საწინდარი უნდა გახდეს ახალგაზრდებში თავიანთი გენეტიკური რესურსების გაცნობიერებისთვის.. ეს არის მნიშვნელოვანი მოტივაცია ქვეყნის წინსვლის, გაძლიერების, ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზების და ალბათ, გადარჩენისაც კი...

მარინე ცინცაბაძე,
ფილოლოგიის დოქტორი

კულტურის სამინისტრო რუსთაველის წინაშე?!

„დღევანდელ დაძაბულ ფონზე მინდა, ერთი სასიამოვნო ინფორმაცია მოგაწოდოთ:საქართველოს მთავრობის ძალისხმევის შედეგად, 2016 წელი იუნესკომ მსოფლიოში შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა“, – გვაცნობა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა დავით შემოქმედელმა (ტაკიძემ).

ახლა ვნახოთ, **რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ინფორმაცია.** მე პირადად დავუკავშირდი გაეროს, იუნესკოს ოფისს საფრანგეთში, საქართველოს კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს. ინფორმაციის გამოძიებამ აჩვენა, რომ არ იქნა მიწოდებული ის მასალა და დოკუმენტაცია,რასაც ისინი ითხოვდნენ, რომ რუსთაველის 850 წლის იუბილე – 2016 წელი იუნესკოს საერთაშორისო წლად გამოეცხადებინა.

სათანადო მასალები იუნესკოში წარსადგენად მეცნიერებს ჯერ კიდევ 2012 წელს ჰქონდათ მომზადებული, რაც გადასცეს კულტურის სამინისტროს, მაგრამ ამ დაწესებულებამ, თანამშრომელთა გაბერილი შტატით, ვერ თუ არ მიაწოდა იუნესკოს ეს აუცილებელი, ჩვენი ქვეყნის პრესტიჟისთვის სასიცოცხლო მასალები.

საქმე ის გახლავთ, რომ იუნესკოს შესაბამისი კომისია ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება და ასეთი შეკრებები მოხდა 2012 და 2015 წლებში.

„ქართული ოცნების“ კულტურის სამინისტროს ჰქონდა შესაძლებლობა, უფლება და გააჩნდა ქვეყნის წინაშე ვალდებულება, ეს მასალები მიეწოდებინა იუნესკოსთვის, მაგრამ დაბლოკეს ეს პროცესი! დავით შემოქმედელის პერსონა კი მზაკვრულად გამოიყენეს და ათქმევინეს სიცრუე – ეს რა კარგი საქმე გააკეთა საქართველოს მთავრობამ. მერე კი სააგენტოებმა დაიწყეს ამ ტყუილის ტირაჟირება.

შემდგომ მე ხელისუფლებას მივმართე, საჯარო ინფორმაცია მოვითხოვე.პასუხი 10 დღის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო. პასუხი დღემდე მაია ცქიტიშვილთან დევს და პასუხს არ ან ვერ სცემენ. როდემდის ვიყოთ ასე, ამგვარ გაურკვევლობაში?

მანანა ორბელიანი.

***რედაქციისგან:** მოძალაძეთა შეკითხვებზე პასუხგაუცემლობა ჩვენი დროების რიგ საჯარო მოხელეთა მახასიათებლად იქცა. ჩვენც დიდი ინტერესით ველოდებით პასუხს კითხვაზე: აღინიშნება თუ არა იუნესკოს ეგიდით რუსთაველის 850 წლისთავი და თუ არა რატომ, ვისი მიზეზით?*

რუსი პოეტი – თაყაიშვილთა შთამომავალი

სვეტა, ძვირფასო, საყვარელო!

მადლობელი ვარ ხსოვნისთვის, კეთილმოსურნეობისთვის, ჩვენი მეგობრობის ერთგულებისთვის...

შენი სერგეის პოეზიამ სულიერად შემძრა, მაგრამ არ გამკვირვებია! ქვეცნობიერად ყოველთვის ვიცოდი, რომ ის სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდა, ღვთაებრივი ხმებით აღსავსე სამყაროში, რაც უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელია.

პოეტის შემოქმედებითი გზა გოლგოთისაკენ მიმავალ მაცხოვრის გზას ემსგავსება და მისი გავლა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია... ისეთების, როგორიც არის სერგეი...

მწუხარება შენი უსაზღვროა და ეს განცდა ჩემთვის, საუბედუროდ, ნაცნობია...

შენ, ალბათ, გახსოვს ის ტრაგედია, ჩემს დიდ ოჯახს რომ დაატყდა. გახსოვს ალბათ, როგორ დაიღუპა ჩემი შვილიშვილი – 11 წლის ვატო, რომელსაც ასევე უყვარდა პოეზია, ზეპირად იცოდა დიდი ქართველი პოეტების ლექსები და სურდა, ღვთისმსახური გამხდარიყო...

სამწუხაროდ, დრო ყველაფერს ვერ კურნავს ...ხოლო ტკივილი ჩვენი გულით ახლობლების დაკარგვის გამო, გვრჩება ბოლომდე...განუკურნებლად, სიცოცხლის ბოლომდე...მაგრამ ცხოვრება მაინც გრძელდება და სულიერი ტკივილების მიუხედავად, ის უნდა გავიაროთ, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული ჩვენი ახლობლების სიყვარულის გამო...

ამასთან დაკავშირებით მინდა, გაგაცნო ფრაგმენტი ნარკვევიდან, რომელიც ჩვენს ნათესავს მერაბ აბაშიძეს ეძღვნება და ვისი ავტორიც ჩვენი უახლოესი მეგობარი, ჩემი შვილის ნათლია, ცნობილი ლიტერატორი და მწერალი გურამ ასათიანია:

„უსასრულოდ დიდხანს ჩვენ
არ ვიყავით,
აღარ ვიქნებით უსასრულოდ დიდხანს“...

ამიტომ ყველა და ყველაფერი, რაც აერთიანებს შენში „ყოფნის“ გაგებას, უპირველესად, უნდა მივიღოთ, როგორც ღმერთის წყალობა და სასწაული, უზენაესის საჩუქარი, მიუხედავად იმისა, როგორი მახინჯი, არასრულყოფილი და გაუსაძლისი ცხოვრება შეიძლება გვქონდეს, არყოფნასთან შედარებით ჩვენი არსებობა ხომ ღვთაებრივი ნათელის სხივია....

ჩემო ძვირფასო, სერიოჟას სჭირდები იქ, არყოფნაში კი არა,აქ დედამიწაზე.

შენს მხრებზე უდიდესი პასუხისმგებლობაა – უნდა გააკეთო ყოველივე.

აუცილებელი იმისთვის, რომ სერიოჟა, აბსოლუტურად დამსახურებულად, საუკუნოდ დარჩეს რუსი და ქართველი პოეტების დიდ კოჰორტაში.

მდაბლად გიხრი თავს, ძვირფასო სვეტა, მადლობლები ვართ, რომ შეგვიყვანე სერიოჟას სევდიან და განუმეორებელ სამყაროში...

ნუ დამივიწყებ. მიყვარხარ, გკოცნი. შენი ნანა.

ცნობილი ისტორიკოსის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ნანა ხაზარაძის** ეს წერილი 2011 წლითაა დათარიღებული და თავის ნათესავს – შვილის დაკარგვით დამწუხრებულ დედას – სვეტლანა სურგუჩევას უგზავნის...ქალბატონმა სვეტამ დიდი ხნის მანძილზე არ იცოდა,რომ მისი მეუღლე, ვალერი სურგუჩევი, რომელიც რუსულ გვარს ატარებდა, გენეტიკურად ქართველი, თაყაიშვილთა სახელოვანი გვარის წარმომადგენელი იყო... თაყაიშვილები დიდხანს ამაოდ ეძებდნენ მას.

სერიოჟა დაიბადა 1957 წელს. მხოლოდ 1960 წელს, თბილისში ჩამოსულ ვალერი სურგუჩევს დედამ თაყაიშვილების ტელეფონის ნომერი გამოატანა.... და ნათესავებმა ერთმანეთი სამუდამოდ იპოვეს... ამის მერე სერიოჟა ასე იწოდებოდა, როგორც სურგუჩევ-თაყაიშვილი. ის მოსკოვში იზრდებოდა, იქ აიდგა ენაც, მიიღო განათლებაც, წერდა რუსულენოვან ლექსებს, მაგრამ იცოდა, რომ იყო ქართველი...

ბელა ახმადულინას, როცა მისი ლექსები წაუკითხეს, უთქვამს: **„ეს არ არის მხოლოდ ლექსები. ეს პოეზიაა და ტკივილი“...**

ვინ იცის, ქართულ გარემოში როგორ წარიმართებოდა მისი ცხოვრება და შემოქმედებითი ბიოგრაფია, რა ნიუანსებს მიანიჭებდა მშობლიური ენის გენეტიკური კოდი. უმბერტო ეკო წერს,რომ არსებობს ენის, მშობლიური სიტყვების სივრცე... სერგეი სურგუჩევ-თაყაიშვილი რუს პოეტად ჩამოყალიბდა.... „Грузинское корни, Русская крона“ – ასე ეწოდება მისი და მისი წინაპრების და ახლობლების ბიოგრაფიისადმი მიძღვნილ წიგნს, რომელშიც პოეტის ლექსებიცაა დაბეჭდილი.

წიგნის პრეზენტაცია და ხსოვნის საღამო გაიმართა 25 ოქტომბერს –გრიბოედოვის თეატრში.

საღამო გრიბოედოვის სახ. თეატრში, სერგეის დედა – სვეტლანა სურგუჩევა და საღამოს წამყვანი გ. სარიშვილი

გალაკტიონის ჰანგზე

მთავრობა: „ყველაფერი არის ძლიერ კარგად“.
ხალხი: „ყველაფერი ძლიერ ცუდად არის.“

ბოროტება

ახლა ფრანგ მწერალს რობერ საბატესაც მივუგდოთ ყური:

„ბოროტებაა არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაართვა ადამიანს, მაგრამ უფრო დიდი ბოროტებაა არჩევნებში მონაწილეობის სურვილი წაართვა მას.“

ამომრჩეველთა საყურადღებოდ

„არასოდეს იმდენს არ ცრუობენ, რამდენადაც ომის დროს, ნადირობის შენდეგ და არჩევნების წინო“ – ამბობს ოტო ფონ ბისმარკი.

სხვა თუ არა, ეს მაინც დაეჯერება.

* * *

„რუსეთში გზები არ არის. არის მხოლოდ მიმართულება“

ნაპოლეონ პირველი.

პოლიტიკა

„თუ თქვენი კანი ოდნავ მაინც უფრო თხელია მარტორქის კანზე, პოლიტიკა თქვენი საქმე არ არის.

„სოფლის უკუღმა ტრიალი“

ქართული „სახელმწიფო საუკუნეების მანძილზე უფრო მისი მოქალაქეების საპატრონო იყო, ვიდრე პატრონი. დღეს? მით უმეტეს.

ანტიპოდები

არის თითო-ოროლა კაცი, გროშების ფასად მილიონობით ლარისა და დოლარის საქმეს რომ ასრულებს – და... არის ხალხი, რომელსაც მილიონობით ლარისა თუ დოლარის ფასად გახვრეტილი გროშის საქმის გაკეთებაც არ სურს.

ღირსეული მემკვიდრენი

„ელადაში საქმის არსზე ჭკვიანი ადამიანები ბჭობენ, თვით საქმეს კი ბრიყვები წყვეტენო“ – ამბობს პლუტარქე.

საქართველოში?

(თუმცა მთელ მსოფლიოზეც ვითომ იგივე არ ითქმის?)

<u>ბაჩანა ბრეგვაძე:</u>

რუსეთსა და ამერიკას ორი დიდი საშლელი უჭირავთ ხელში და მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან გაშმაგებით შლიან საქართველოს!

მსოფლიო, როგორც სისტემა

ინგლისელი სწავლულის ი.უოლერსტაინის მტკიცებით, თანამედროვე მსოფლიო, როგორც სისტემა, სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება:

1. ეგრეთ წოდებული ბირთვი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო სიტემის პროფილს მისი არსებითი პარამეტრების მიხედვით.
2. „პერიფერიული“ ქვეყნები და რეგიონები, მარგინალური მდგომარეობა რომ უჭირავთ სისტემაში, რომელშიაც პრაქტიკულად არავითარ როლს არ ასრულებენ.
3. „ნახევარპერიფერიები“, რომლებიც „პერიფერიებისაგან“ განსხვავებით, გარკვეულ გავლენას მაინც ახდენენ სისტემაზე.

სად უნდა გვევარაუდა ჩვენი ქვეყნის ადგილი ამ სისტემაში?

ევფემიზმი

„საბაზრო ეკონომიკა“ – ბანდიტური კაპიტალიზმის ნიღაბი, „ყველაზე პროგრესული წყობილების“ თითლიბაზურად მორგებული „დემოკრატიის“ ილუზიონისტ ლიდერთა მიერ.

დიდი ადამიანები

აიღეთ ნებისმიერი ქვეყნის ისტორია (სულერთია,დიდისა თუ პატარის) და ჩაატარეთ შემდეგი აზრობრივი ექსპერიმენტი: ამოშალეთ იქიდან, ქვეყნის სიდიადისა და სიმცირის მიუხედავად, რამდენიმე ათეული ან ასეული სახელი. არა მგონია, ნაშთის სახით, დიდად სანუგეშო სურათი შეგრჩეთ ხელში“.

ტირანიის პრინციპი

დაუკვირდით ძველი ჩინელი მოაზროვნის შან იანის(390-338) მაქსიმას,რომელიც, მისი ცოდნისა თუ არცოდნის მიუხედავად, თანაბარი წარმატებით იყენებდა, იყენებდა, იყენებს და, რა თქმა უნდა, მომავალშიც გამოიყენებს ყველა ტირანი: „სულელი ხალხი ადვილი სამართავია“.

„წინ წყალი, უკან მეწყერი“

რუსეთსა და ამერიკას ორი დიდი საშლელი უჭირავთ ხელში და მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან გაშმაგებით შლიან საქართველოს!

მხოლოდ ერთი სადარდებელი აქვთ: რომელი უფრო მეტს „მიიშლის“.

რასაც გაჩნდა, უნდა იცოცხლოს...

გამოიცა „ქართული ალმანახის“ პირველი ნომერი

„ქართული ალმანახის“ პირველი ნომრის გამოსვლა უთუოდ სასიხარულო და მისასალმებელია მაშინ, როდესაც საქართველოში სოლიდური ლიტერატურული ორგანოების მკვეთრ ნაკლებობას განვიცდით. მაგალითად, კარგა ხანია, დახურულია ქართული მწერლობის უმთავრესი ჟურნალი „მნათობი“. არსებობა შეწყვიტა როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით გამომავალმა ჟურნალმა „ჩვენმა მწერლობამ“, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ლიტერატურულ პროცესებში.

„ქართული ალმანახის“ წინარე ნომერი, მთლიანობაში, სასურველ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ გვაქვს ცალკეული შენიშვნები, რაც, ვფიქრობ, რედაქციას წაადგება შემდგომ მუშაობაში. ალმანახის პროფილი ასეა განსაზღვრული: „სამეცნიერო, ლიტერატურული, ფოლოსოფიური და ხელოვნებათმცოდნეობითი გამოცემა“. ჩვენი აზრით, აჯობებდა უპირატესობა ლიტერატურას მიჰკუთვნებოდა, რადგან სამეცნიერო ორგანოები ისედაც მრავლადაა...

მრავლისმთქმელია, რომ ჟურნალს ხსნის საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწერილი ილია ჭავჭავაძის წინასიტყვა, რომელსაც აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს და ყოველდღიური გაზეთის „ივერიის“ პირველ ნომერში იყო გამოქვეყნებული (1885 წლის 31 დეკემბერი).

ასევე კარგია მთავარი რედაქტორის არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) წინათქმა, რომელშიც ნათლადაა ჩამოყალიბებული ალმანახის ძირითადი პრინციპები, და ასე მთავრდება:

„გზა დაგვილოცეთ, გზა, ლაბირინთების ხეივანს რომ ჰგავს!“

„ქართული ალმანახი“ მართლაც ღირსია კეთილი სიტყვისა და გზის დალოცვისა, ჭეშმარიტად ჩახლართულ ლაბირინთებში მოუწევს კვალის გავლება და ამიტომაც დაგვებადა სურვილი, ალმანახის მესვეურებს რამდენიმე უწყინარი შენიშვნა მივაწოდოთ.

უპირველეს ყოვლისა, მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია მასალის განლაგება. გოეთე რომ მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთი უპირველესი სახელია და იმის უკვდავ ქმნილებას „ფაუსტს“ (გერმანულიდან მაღალოსტატურად გადმოქართულებულია დავით წერედიანის მიერ) ბადალი იშვიათად მოეპოვება, არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჩვენი აზრით, „ქართულ ალმანახში“ პრიორიტეტი გახსნისა უთუოდ ქართველ მწერლებს უნდა მინიჭებოდათ.

სასიამოვნოა, როგორც ლიტერატურული ფაქტი, რომ ამავე ნომერში პირველადაა წარმოდგენილი დიდი ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის სამუელ კოლრიჯის საუკეთესო პოემა-ბალადა „მოხუცი მეზღვაურის სიმღერა“. იგი ქართულად გადმოუღია ცნობილ მთარგმნელს მედეა ზაალიშვილს, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, ტექნიკურ სირთულეთა გამო, თარგმანი გამორჩეულად ვერ გამოიყურება. კოლრიჯის პოეზია უცნაური ხილვებით მდიდარია, რის გადმოცემაც თანაბარი ოსტატობით მეტად ძნელია. მედეა ზაალიშვილს ცდა არ დაუკლია, რათა მათემატიკური სიზუსტით გადმოეტანა ტექსტი, აზრი თითქმის არსად არ არის დამახინჯებული, მაგრამ ფორმა ვერ არის დედნის შესაფერისი, სტრიქონებს საჭირო ოსტატობა, ნაჭედობა აკლია. გამონაკლისის სახით როდი გვხვდება დუნე, გაუმართავი ადგილები. მოვიყვან ორიოდე მაგალითს:

მალე მზე მარჯვნივ ამოიწვერა
და ზღვიდან ზევით აცურდა ნელა,
მერე დაფარა ნისლმა და მარცხნივ
ზღვის სირღმეებში კვლავ ჩაესვენა.(21)

ხახაგამშრალნი, გაყუჩებულნი,
ჩაშავებული, გამხმარ ტუჩების
გახსნას ცდილობენ ხმაზე ყვირილის,
და ყველას ერთად ეკვრება სუნთქვა,
თითქოს მოიკლეს მძაფრი წყურვილი,
თითქოს დაუცხრათ ყველა ტკივილი. (39)

როგორც პაატა ჩხეიძე წერს მოკლე შესავალ წერილში „მოხუცი მეზღვაური“... (პოეტის თანამედროვე კრიტიკოსის უილიამ ჰეზლიტის აზრით), „ესაა გენიოსის ქმნილება, ქმნილება მძვინვარე, უწესრიგო, ყოვლისმომცველი წარმოსახვისა, რომელიც გამოირჩევა ლექსის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით, გვაწვდის შორეულ იდეას მისტერ კოლრიჯის ხმის ამაღლებული და ცვალებადი ინტონაციისა“. დიდად სამწუხაროდ, უწინარეს ყოვლისა, ქართველი მკითხველის სამწუხაროდ, ქართული კოლრიჯი გენიოსის კი არა, საერთოდ მდარე პოეტის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, რომლის „მოხუცი მეზღვაური“ ქართული ენობრივი ზღვის ნაპირზე „დამხრჩვალია“ გამორიყული... აქვე მინდა, ბოდიში მოვუხადო ქალბატონ მედეა ზაალიშვილს, რომლის პროზაულ ნაკალმარს უდიდეს პატივს ვცემ... ამ შემთხვევაში ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ ლექსი სხვაა, პროზა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.

პროზის განყოფილებაში ძალზე კარგი მასალებია – ჭაბუა ამირეჯიბის ბოლო, გამოსაცემი წიგნის ფრაგმენტები, დოკუმენტური ჩანაწერები, თვით მამა ადამის (ვახტანგ ახალაძის) სამი მოთხრობა, ელგუჯა ბერძენიშვილის მოთხრობები, ანდრო ბუაჩიძის ერთი მოთხრობა. მაგრამ მაინც გვეჩვენება, რომ დღევანდელი ქართული პროზა, ცოტა არ იყოს, ძუნწად არის წარმოდგენილი.

სასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს პოეზიის განყოფილება (თამაზ ჭილაძე, ემზარ კვიტაიშვილი, მანანა ჩიტიშვილი, თამარ ჯავახიშვილი), თუმცა გვიჩნდება უკმარისობის გრძნობა, რომ ახალგაზრდებიდან არავინ არ არის წარმოდგენილი. ეს სამომავლოდ უნდა გაითვალისწინონ ალმანახის შემქმნელებმა. ამ მხრივ ამ ნომერში საქმეს ვერ შველის მარტო ნაადრევად გარდაცვლილი უნიჭიერესი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის მცირე ჩანაწერები, ლექსები და ჩანახატები.

შედარებით უხვად არის წარმოდგენილი ლიტერატურათმცოდნეობა და ტექსტოლოგია (ლალი ჯოხაძე, ლაურა გრიგოლაშვილი, ავთანდილ არაბული, თეიმურაზ დოიაშვილი, ნათია სიხარულიძე). აქ მოთავსებული ყოველი მასალა სიახლეთა შემცველია და ავტორებს გარკვეული წვლილი შეაქვთ ქართულ მეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობაში.

წამკითხველის სულიერი გამდიდრების თვალსაზრისით, აღსანიშნავია ალმანახში შეტანილი ესეები, რომელთა ავტორები არიან თამაზ ჩხენკელი, ემზარ კვიტაიშვილი, აწ განსვენებული რევაზ სირაძე და დავით წერედიანი.

მემუარისტიკის განყოფილებაში გამოქვეყნებული ცნობილი მთარგმნელის აკაკი გელოვანის (დაბადედიდან ასი წელი შეუსრულდა) „დაფანტული ფურცლები“, აქ არაერთ საყურადღებო ცნობას შეხვდება მკითხველი.

ძალზე მნიშვნელოვანი, ღირებულია ჩვენი დიდებული თეატრმცოდნის ნოდარ გურაბანიძის სხვადასხვა დროის ჩანახატები – „სამყარო თეატრალის თვალით“ – სადაც იშვიათი, ძვირფასი, უნიკალური ფაქტებია გაცოცხლებული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია არამწერლის, პროფესიით ფინანსისტის ვიქტორ ცერცვაძის „ზემოიმერელი კაცის ჩანაწერები“, ავტორი თავის სიყიმაწვილეზე და ძველ ქართულ სოფლებზე გულში ჩამწვდომად მოგვითხრობს. „ჩანაწერები“ ენობრივი თვალსაზრისითაც ფრიად მნიშვნელოვანია და დასასრულს გულისყურით დაელოდება მკითხველი.

„ქართული ალმანახის“ ერთ-ერთი საუკეთესო პუბლიკაციად უნდა ჩაითვალოს ქალბატონ ნანა გოგოლაშვილის მიერ ჩინებულად გადმოენებული დიდი გერმანელი ფილოსოფოსის მარტინ ჰაიდეგერის ნაშრომი – „ცხოვრება, შენება, აზროვნება“. კარგი იქნება, თუ ამ ყაიდის ნაშრომთ ალმანახი მომავალშიც არ მოგვაკლებს.



ძალზე საჭირო, აქტუალური და დამაფიქრებელია რედაქტორის მამა ადამის წერილი „ანთროპოლოგიური აზრის ტრანსფიგურაციები და გზა ბიოეთიკურ განზომილებამდე“, რომელშიც თვალნათლივ ჩანს, რა მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრება ადამიანთა მომავალს, თუ სხვადასხვაგვარ მახინჯ მოვლენებს არ გადავეღობეთ, თუ ჩვენი ქართული ტრადიციული ზნეობის გზიდან გადავუხვიეთ.

ფილოსოფიურ პრობლემებს ეხება და ცოცხლად, მიმზიდველი ენით არის დაწერილი ლერი ჩანტლაძის ესეი „ყოფიერების იგავი“.

ალმანახისთვის ნაკლებად შესაფერისად გვეჩვენება ლინგვისტ ნათელა აფხაიძის ნაშრომი – „ენა, მეტყველება, აზროვნება“, სადაც ავტორის განსწავლულობა კი ჩანს ენათმეცნიერების საკითხებში, მაგრამ ამა თუ იმ ენის ხატოვანი დახასიათება ვერ აღწევს თავის მიზანს.

კარგი საქმე გააკეთა „ქართულმა ალმანახმა“, როცა თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა საქართველოს ფარგლებს მიღმა მცხოვრებ თვისტომთა, თურქეთელ ქართველთა შესახებ ნაირგვარი მასალები, ცნობები, რომელთა ავტორები არიან – ზაზა წურწუმია, ინგა ლუტიძე, ვახტანგ ახალაძე.

ქართული მატერიალური კულტურის წარმოსაჩენად ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე გურამ აბრამიშვილისა და ელენე კავლელაშვილის მიერ დიდი რუდუნებით შედგენილი, უხვად ილუსტრირებული „შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურის ფონდში დაცული ადრეული შუა საუკუნეებისა ლითომნქანდაკებლობის, ტორევტიკის, გამოყენებითი ხელოვნებისა და საწესო-სარიტუალო ნივთების კატალოგი (V საუკუნე – X საუკუნის პირველი ნახევარი“.

რამდენადმე გვეხამუშება, რომ ცნობილი პოლონელი პოეტის ზბიგნევ ჰერბერტის ესეის („ეტრუსკების ცივილიზაციის შესახებ“) სამი ქართულად გადმომღებლის – ქართველის, პოლონელის და რუსის გვარები აქვს მიწერილი (არჩილ წერედიანი, ჰენრიკ პაპროცკი და მიხეილ ფედიაევი). ცოტა არ იყოს, უხერხული მდგომარეობა იქმნება.

„ქართულ ალმანახს“ აგვირგვინებს „ერთი მუსიკალური ჩანახატი“, რომელიც კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მუსიკალურ ნაწარმოებს „ზამთრის სურათს“ ეხება.

მთლად აუცილებელი არა გვგონია იყოს ესოდენ მოზრდილი „პირთა საძიებელი“, რომელიც ამ გამოცემას ერთვის. მთლად არასწორი მგონია, აგრეთვე, ერთ ნომერში ერთი და იმავე ავტორების თუნდაც სხვადასხვა ჟანრის რამდენიმე პუბლიკაცია.

შენიშვნას იმსახურებს „ქართული ალმანახის“ დიზაინიც, იგი უთუოდ უფრო სადად უნდა იყოს გაფორმებული. ყდაც ზედმეტად ჩამუქებულია.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ „ქართული ალმანახი“, ბუნებრივია, თანდათან უფრო დაიხვეწება და გაძლიერდება.

გურამ წიკლაური

◎ სულიერება

დღესასწაული ღვთისმშობლის ხატისა „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“

6 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მარიამ ღვთისმშობლის ხატის „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“ ხსენებას.

ცნობილია, რომ სანკტ-პეტერბურგთან ახლოს მდებარეობს აღრე ყველასათვის უცნობი სოფელი კლოჩკი. 1888 წლის ზაფხულში სანკტ-პეტერბურგში საშინელი ქარიშხალი მძვინვარებდა. მინის ქარხნის სამლოცველოს მეხი დაეცა, შიდა კედლების უმეტესი ნაწილი და ფანჯრები დაიწვა, მაგრამ ცეცხლი ღვთისმშობლის ხატს არ შეხებია, ელვამ მხოლოდ გაანათა ის ჩაბნელებული კუთხე, სადაც ჟამთა სვლისა და ჭკვარტლისგან ჩამუქებული ხატი იდგა და სრულიად განახლებული მიწაზე გადაეშვა იგი. მეხთგეხისგან გამოღვიძებულმა მონაზონმა, რომელიც სამლოცველოს დარაჯობდა, დაინახა, რომ განახლებული ხატი იატაკზე იდგა და თასმები, რომლითაც კედელზე იყო მიმაგრებული – დამწვარიყო. იქვე ეყარა შესაწირი სკივრის ნამსხვრევები. ხოლო ფული – 12 მონეტა ხატის გარშემო იყო მიმობნეული.

აღმოჩნდა, რომ ერთი მათგანი დაიკარგა. ეს ამბავი მთელ ქალაქში გავრცელდა და, რასაკვირველია, სამლოცველოში უამრავი ხალხი მოდიოდა... ხალხმა კი ჩათვალა, რომ ამ მოვლენით უფალმა სამლოცველოს სიღატაკეზე მიანიშნა. ამიტომ მის აღგილზე ტაძრის ასაშენებლად შესაწირი გაიღეს. სამლოცველო ძალიან ძველი იყო. ჯერ კიდევ ეკატერინე II მეფობისას აქ ხის შენობა იდგა... ააშენეს ახალი სამლოცველო...

საგულისხმოა ისიც, რომ გადმოცემით ხატი ნევის ნაპირთან ტალღამ მოიტანა. ხატი სასწაულებს ახდენდა და ახდენს ახლაც... სასწაულებრივი მოვლენები მიწყნარდება თუ არა, მაშინვე ღვთიური მოწყალების ახალი ნიშნები გამოჩნდება ხოლმე. მრავალი ადამიანი, რწმენით მისული, ყოველგვარი სენისგან იკურნება. განკურნების ყველა შემთხვევა ყოველმხრივ სანდო თვითმხილველთა მიერაა დამოწმებული.

გიული ლიპარტია

უდედოდ დარჩენილ სამშვილიან ოჯახს ყურადღებას არ მოაკლებენ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში აბაშიძეების სამშვილიან ოჯახს აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე რამაზ ჯინჭარაძე ესტუმრა.

ადგილზე მდგომარეობის გასაცნობად რამაზ ჯინჭარაძე აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ზურაბ პატარაძის თხოვნით იმყოფებოდა. უმუშევრად დარჩენილი ბავშვების მამა, როლანდ აბაშიძე მინისტრის მოადგილეს პირადად გაესაუბრა. რამაზ ჯინჭარაძე აბაშიძეების ოჯახს არსებული რესურსით და შესაძლებლობით დახმარებას დაჰპირდა, რისთვისაც როლანდ აბაშიძემ წერილობით უნდა მიმართოს აჭარის მთავრობის ადმინისტრაციასა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, ტყუპების შეძენასთან დაკავშირებით ერთჯერადი დახმარება 2000 ლარის ოდენობით ოჯახს იმთავითვე გადაეცა, დედის ავადმყოფობის პერიოდშივე სოციალურ სააგენტოს ჩვილები მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა აყვანილი, რაც სოფლის ექიმისა და ექთნის მიერ კონტროლს და კვებითი რაციონით უზრუნველყოფას გულისხმობდა. როგორც აჭარის მთავრობას სოციალური სააგენტოდან აცნობეს, ოჯახში ამ ეტაპზე ბავშვებისათვის 2 თვის საკვების მარაგი მიწოდებულია. პატარები ერთი წლის მანძილზე დარჩებიან სააგენტოს მეთვალყურეობის ქვეშ.

აჭარის ჯანდაცვის წარმომადგენელთან საუბრისას ოჯახის მამამ როლანდ აბაშიძემ სხვა საჭიროებებთან ერთად ხაზი გაუსვა გაზიფიცირების საკითხს. კერძოდ, ოჯახს სჭირდება სახლამდე უკვე მიყვანილი გაზის ოთახებში შეყვანა და გათბობის ქვაბის მონტაჟი. აჭარის მთავრობა გაზით უზრუნველყოფასთან ერთად როლანდ აბაშიძის დასაქმების შესაძლებლობასაც განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ აბაშიძეების სამშვილიანი ოჯახი გაჭირვების უკიდურეს ზღვარზე დედის ავადმყოფობის შედეგად მივიდა. 32 წლის ქალმა ტყუპები, დავითი და ნიკოლოზი გააჩინა. საკეისრო კვეთის დროს იგი უგონო მდგომარეობაში ჩავარდა და რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა. კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი მეუღლის სასთუმალთან გატარებული დღეების გამო, პატარების მამამ, როლანდ აბაშიძემ სამსახური დაკარგა. სამი მცირეწლოვანის გაზრდაში მამას ბავშვების ბებია ეხმარება.

ტერაქტი თურქეთში

ძლიერი აფეთქების ხმა გამთენიისას ეთნიკური ქურთებით დასახლებულ დიარბაქირში გაისმა. წინასწარი ვერსიით,

უშიშროების სამსახურის შენობასთან დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა, რასაც ერთი ადამიანი ემსხვერპლა, 30-მდე კი დაშავდა. ტერაქტამდე ერთი დღით ადრე თურქეთის პოლიციამ პროქურთული პარტიის ლიდერები დააპატიმრა. დაკავებულთა შორის პარლამენტის ვიცე-სპიკერიცაა.

ავსტრალიაში ხანძარს ებრძვიან

2 დღის წინათ გაჩენილმა ხანძარმა სიდნეის შემოგარენში ათობით ჰექტარი ფართობი გაანადგურა. ხანძარი კრეინბრუკის

დასახლებული რაიონისკენ მიიწევს. დამწვარია რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. მეხანძრეები ცეცხლის ლოკალიზებას ავიაციის დახმარებით ცდილობენ. ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არ გავრცელებულა.

თურქები გერმანიის წინააღმდეგ

თურქეთი გერმანიას ინჯირლიკის სამხედრო ბაზის რეკონსტრუქციის უფლებას არ აძლევს. ამის შესახებ გერმანული გამოცემა „ველტი“ იტყობინება.

გავრცელებული ინფორმაციით, გერმანული მხარე ბაზის მოდერნიზებისთვის 58 მილიონი ევროს ინვესტირებას გეგმავდა, თუმცა ანკარა სამუშაოების დაწყების ნებართვას არ იძლევა. ამის მიზეზი გერმანიის ბუნდესტაგის მიერ ოსმალეთის იმპერიის მიერ სომხების გენოციდის აღიარება გახდა.

ლტოლვილთა ბანაკის დემონტაჟი პარიზში

მეტროსადგურ „სტალინგრადის“ ტერიტორიაზე კარვების დემონტაჟი დილის 6 საათიდან დაიწყო. ამ დროისათვის ბანაკი

300-ზე მეტმა ლტოლვილმა დატოვა. მათი ევაკუაცია პოლიციასთან შეტაკების გარეშე ხორციელდება. მიგრანტებს სპეციალური ავტობუსებით ლტოლვილთა მიმღებ ცენტრებში გადაანაწილებენ. გასულ კვირას მიგრანტთა ბანაკის, ე.წ. „ჯუნგლების“ ევაკუაცია დასრულდა საპორტო ქალაქ კალეშიც.

ჯულიან ასანჟის წინასწარმეტყველება

დონალდ ტრამპი შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვერ გახდება. ამის შესახებ სკანდალური ვებ-გვერდის, „ვიკილიკსის“ დამფუძნებელმა ჯულიან ასანჟმა განაცხადა.

„მას ამის საშუალებას არ მისცემენ, რადგანაც კლინტონის გარშემო ქვეყნის მსხვილი ბანკები დაზვერვა, სამხედრო-სამრეწველო და უცხოური კომპანიები გაერთიანდნენ. კლინტონი ასევე წამყვანი მედიასაშუალებების მხარდაჭერით სარგებლობს,“-აღნიშნა ასანჟმა.

დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახური:

რუსეთის საიდუმლო ოპერაციები სულ უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს

„მაშინ, როცა მთელი მსოფლიო ისლამისტურ ექსტრემიზმზე ამახვილებს ყურადღებას, სულ უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით, რუსეთის საიდუმლო ოპერაციები“, - ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის MI5-ის გენერალურმა დირექტორმა **ენდრიუ პარკერმა** გამოცემა Gardian-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ეს არის პირველი საგაზეთო ინტერვიუ, რომელიც MI5-ის მოქმედმა ხელმძღვანელმა სადაზვერვო სამსახურის 107-წლიანი არსებობის ისტორიაში ჟურნალისტებს მისცა.

ენდრიუ პარკერის შეფასებით, რუსეთი, როგორც მზარდი საფრთხე, საკუთარი მიზნების მისაღწევად ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას მიმართავს.

„ისინი იყენებენ სახელმწიფო ორგანოებისა და ძალოვანი უწყებების მთელ სპექტრს იმისთვის, რომ საგარეო პოლიტიკა სულ უფრო აგრესიული გზით გაატარონ — პროპაგანდის, ჯაშუშობის, დივერსიების და კიბერთავდასხმების გამოყენებით“, — აცხადებს ენდრიუ პარკერი.

დღემდე გვეგონა, რუსეთი საქართველოსთვის იყო ძირითადი საფრთხე, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს დიდი ბრიტანეთიც შეუწუხებია.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ რუსეთის აგენტურა საკმაოდ ეფექტურად და ძლიერად მუშაობს არა მარტო ბრიტანეთში, არამედ ჩერნოგორიაში (მონტენეგროში), სერბეთში. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მონტენეგროს პრემიერი გადამალეს, რათა არ გამხდარიყო რუსეთის სპეცდანიშნულების რაზმების დარტყმის ობიექტი.

„აშკარაა, რუსეთმა გააააქტიურა თავისი სპეცსამსახურების მოქმედება. თუნდაც იმავე ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდა რუსი სკინჰედების თავდასხმა ბრიტანელ გულშემატკივრებზე. ესეც რუსული სპეცსამსახურების ხელით იყო მოწყობილი, რადგან სკინჰედებსა და რუს გულშემატკივრებს რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახური უშუალოდ აკონტროლებს. ასეთი ტიპის ჰიბრიდული შეტევები რუსეთის სპეცსამსახურებისთვის არ არის უჩვეულო. სპეცსამსახურების დონეზე უფრო გააფთრებულად და სასტიკად მიმდინარეობს ახალი ცივი ომი“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია, რომლის აზრითაც, რუსეთის სურვილია, დიდი ბრიტანეთის ჰეგემონობა გლობალურ დონეზე შეაჩეროს.

ბოლოს და ბოლოს, რუსეთმა ბირთვული ქიმიური ელემენტების გამოყენებით ლუგავოიც მოწამლა ბრიტანეთის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, ცხადია, თავისი ინტერესები აქვს რუსეთის სპეცსამსახურებს, რადგან დიდ ბრიტანეთს ბევრი ოპოზიციური ლიდერი, ბევრი რუსი ოლიგარქი აფარებს თავს. ბრიტანელებისა და ამერიკელების სპეცსამსახურები რუსების მთავარ სამიზნედ განიხილება, რადგან ცივი ომის დროს ისინი მტრის სპეცსამსახურებად მიიჩნევიან. ასე რომ, ამერიკა, ბრიტანეთი, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი რუსეთის მთავარ მტრად ითვლება და არა — გერმანია ან საფრანგეთი.

ექსპერტი **სოსო ზაალიშვილი** For.ge-სთან საუბარში ადასტურებს, რომ **დღევანდელ სიტუაციაში რუსეთი მართლაც წარმოადგენს საფრთხეს დიდი ბრიტანეთისთვის, ევროპისთვის.** თუმცა დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის გენერალურ დირექტორს ენდრიუ პარკერს ამ საფრთხის მიზეზებზე არ უსაუბრია. **რეალობა ისაა, რომ რუსეთისთვისაც საფრთხეს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი და მისი დაზვერვა.** შესაბამისად, რუსეთის დაზვერვის ხელმძღვანელიც გეტყვით, რომ ბრიტანეთი საფრთხეა რუსეთისთვის. **უფრო მეტიც, დღეს მსოფლიოში ისეთი სიტუაციაა, ყველა ყველასთვის საფრთხეს წარმოადგენს.**

„გაოგნებული ვარ, როცა რომელიმე ქვეყნის შესახებ ამბობენ, ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეაო. სტრატეგიული მოკავშირე კი არის, მაგრამ შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს გარკვეულ შემთხვევაში. მაგალითად, ისრაელი და ამერიკა ერთმანეთის სტრატეგიული მოკავშირეები არიან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრს თავის რეზიდენციაში უსმენდა ამერიკის უსაფრთხოების სამსახური. „ვიკილიქსის“ ბოლოდროინდელი მასალებიდან გამომდინარე, მსოფლიოში სიტუაცია კიდევ უფრო აირია. **სულ ახლახანს საოცარი მასალები გამოქვეყნდა ჰილარი კლინტონისა და მისი მეუღლის კორუმპირებულობის შესახებ. კლინტონების მიერ შექმნილ ფონდს არაბეთის ქვეყნებიდან — ყატარიდან, მაროკოდან უამრავი ფული აქვს გადმოქაჩული, ვითომც ქალების უფლებების დასაცავად მთელ მსოფლიოში.** ამან გამოიწვია, რომ ყველა გამოკითხვით, ტრამპი უგებს არჩევნებს კლინტონს. ფაქტობრივად, ჰილარი კლინტონი მართავდა მსოფლიოს ბოლო რვა წლის განმავლობაში, მანამდე კიდევ მისი ქმარი ორი საპრეზიდენტო ვადით მართავდა ამერიკას და წარმოიდგინეთ, როგორი კორუფციაა მთელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, გასაგებია ბრიტანეთის დაზვერვის ხელმძღვანელის შეშფოთება რუსეთთან დაკავშირებით. ჩვენ კიდევ არ ვიცით, „ვიკილიქსი“ რა მასალებს გამოაქვეყნებს ბრიტანეთის დაზვერვის ხელმძღვანელისა და კლინტონის საქმიან ურთიერთობაზე“, - აცხადებს სოსო ზაალიშვილი.

ამასთან, **ზაალიშვილი განმარტავს, რომ სწორედ დღეს გამოქვეყნდა „ვიკილიქსის“ მორიგი მასალა იმის შესახებ, თუ ჰილარი კლინტონის დახმარებით ისლამურ სახელმწიფოს როგორ მიჰყიდეს იარაღი ამერიკულმა ფირმებმა. ამის გამო ფედერალური გამოძიების სამსახურში ჰილარი კლინტონზე საქმეა აღძრული.**

„ალბათ, ამითაც არის განპირობებული ტრამპის სლოგანი, **როგორც კი გავხდები პრეზიდენტი, კორუფციის ჭაობი უნდა დავაშრო ვაშინგტონში.** ამ დროს ეგენი გვასწავლიან ჩვენ კორუფციასთან ბრძოლას?“

მანანა ნოზაძე

◎ ღირსების საქმე

სტარტზეა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ეტაპი

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში 9-14 ნოემბერს გასამართი საერთაშორისო ოთხთა ტურნირის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა და ფეხბურთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა კახა ჭუმბურიძემ პრესკონფერენცია მოაწყვეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა აღნიშნული ტურნირის მნიშვნელობასა და საქართველოში 2017 წელს ჩასატარებელი 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის თაობაზე ისაუბრეს.

დავით მუჯირი: „მოგეხსენებათ, 2017 წელს ჩვენი ქვეყანა ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს, რომელიც 2-დან 15 ივლისის ჩათვლით გაიმართება. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ პერიოდს, 9-14 ნოემბერს თბილისსა და გორში საერთაშორისო ოთხთა ტურნირია კარს მომდგარი, რომლის ფარგლებში საქართველოს ესპანეთის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის ნაკრებები ესტუმრებიან.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ აღნიშნულ ტურნირზე ძლიერი გუნდები ჩამოსულიყვნენ, რადგან ფინალურ ეტაპზე ჩვენთან ერთად 7 უძლიერესი ევროპული ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმებას მივაღწიეთ სამ ძლიერ ნაკრებთან, რომლებიც ელიტარულ გუნდებად ითვლებიან არა მხოლოდ 19-წლამდელებში, არამედ ეროვნულ ნაკრებთა დონეზეც.

ასევე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე დაწესდება ორი ინდივიდუალური პრიზი. დავით ყიფიანის სახელობის პრიზი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელს გადაეცემა, ხოლო საუკეთესო ბომბარდირს რამაზ შენგელიას სახელობის პრიზს გადავცემთ. წარმატებას ვუსურვებ საქართველოს ნაკრებს ფინალურ ეტაპზე და მსურს, რომ ეს მოსამზადებელი ტურნირიც მაქსიმალურად პროდუქტიულად გამოვიყენოთ“.

კახა ჭუმბურიძე: „აღსანიშნავია, რომ ასეთი ღონისძიებებით განებივრებული არ ვიყავით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია და მას განვიხილავთ, როგორც ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპს ევროპის 2017 წლის ჩემპიონატისთვის. ტურნირის მონაწილე გუნდებს არ სჭირდებათ წარდგენა, რადგან ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ რა სიძლიერის ნაკრებები ჰყავთ ამ ქვეყნებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მწვრთნელებს ეძლევათ კარგი საშუალება, შეაფასონ ფეხბურთელები. ჩვენი ნაკრების ბირთვი ჩამოყალიბებულია, დანარჩენი კი - გამოჩნდება, თუ ვინ შეძლებს გააძლიეროს გუნდი ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების ღირსეული ასპარეზობისათვის.“

ოთხთა ტურნირის კალენდარი

9 ნოემბერი. ჰოლანდია — საფრანგეთი, საქართველო — ესპანეთი.

11 ნოემბერი. ესპანეთი — ჰოლანდია, საქართველო — საფრანგეთი.

14 ნოემბერი. საფრანგეთი — ესპანეთი, საქართველო — ჰოლანდია.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

ზაზა ფაჩულიას საუკეთესო მატჩი „გოლდენ სტეიტში“

თითქმის მთელი ამერიკისთვის და ნბა-ს მილიონობით უცხოელი ქომაგისთვის „გოლდენ სტეიტი“ — „ოკლაჰომა სიტის“ დაპირისპირებას კევინ დიურანტის ყოფილ გუნდთან პირველი შეჯახების ინტრიგა ემატებოდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებისა და განსაკუთრებით ზაზა ფაჩულიას გულშემატკივრებისთვის ეს ქართველი ცენტრის მორიგი, ოკლენდელთა შორის დამკვიდრების საფეხური გახლდათ. ფაჩულიამ ბრწყინვალედ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ამით კონფერენციის ლიდერ „ოკლაჰომასთან“ „გოლდენ სტეიტის“ გამარჯვებაში საკუთარი, მნიშვნელოვანი წილი დაიდო.



დასავლეთ კონფერენციაში აქამდე მხოლოდ ერთი დაუმარცხებელი გუნდი იყო დარჩენილი. „ოკლაჰომამ“ 2 დღის წინათ ლოს ანჯელესში „კლიპერსს“ სეზონის პირველი მარცხი აგემა და დასავლეთის წაუგებელ ლიდერად იქცა, გუშინ კი ოკლაჰომელები ოკლენდში ჩავიდნენ და მათი ყოფილი ლიდერისგან 39 ქულა მიიღეს, რასაც ზაზა ფაჩულიას და სხვა ოკლენდელთა ბრწყინვალე გარჯაც დაერთო და „გოლდენ სტეიტმა“ მომხვდური 122:96 გაანადგურა.

ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და ორმაგ დუბლამდე 2 ქულა დააკლდა. ის რომ მოედნიდან მესამე პერიოდში არ გაეყვანათ, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, შესაძლოა, ქართველი ცენტრი სამმაგ დუბლამდეც ასულიყო. ზაზამ ყველა სტატისტიკურ მაჩვენებელს მსუყედ მოუსინჯა გემო და მისი ქომაგები ბრწყინვალე შედეგით გაახარა: 23 წუთში 8 ქულა, 10 მოხსნა (6 მეტოქის ფარზე), 5 პასი, 3 დაფარება და 3 ჩაჭრა. ზაზამ შეხვედრა სროლათა 100-პროცენტიანი მაჩვენებლით დაასრულა — ანუ 4-დან ოთხივე ორქულიანი ტყორცნა ზუსტად შეასრულა. მას „ოკლაჰომას“ ახალზელანდიელ ცენტრ სტივ ადამსთან ორთაბრძოლა უწევდა, რომელიც ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე ხისტ და გაუვალ მეფარედ ითვლება. ძლიერ ოპონენტთან ბრძოლაში ფაჩულიამ საკუთარი ძალა გამოაჩინა და სეზონის საუკეთესო სტატისტიკაც დააფიქსირა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ლეგიონერი

ანტონ ფეიქრიშვილი: „ალსთერიდან“ - „კარდიფში“

ბორჯღალოსანთა ბურჯი ანტონ ფეიქრიშვილი, კარიერას პრო 12-ის უელსურ კლუბ „კარდიფ ბლუზში“ გააგრძელებს.

კლუბის ოფიციალური გვერდის ცნობით, 29 წლის მორაგბე, რომლის ანგარიშზეც 23 სანაკრებო კეპია, უკვე კარდიფშია და კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა.

ფეიქრიშვილს აქამდე ფრანგულ გუნდებში — „აჟენში“, „კასტრში“, „ბრივსა“ და „ბაიონში“ უთამაშია. სექტემბერში ის სამედიცინო ჯოკერის სტატუსით პრო 12-ის ჩრდილოირლანდიურ „ალსთერს“ შეუერთდა და იქ 19 დეკემბრამდე უნდა დარჩენილიყო, თუმცა, მოედანზე გასვლა არ მოუწია და „ბლუზს“ უკეთესი პირობებით სეზონის ბოლომდე დაემატა.

ფეიქრიშვილთან დაკავშირებით „კარდიფის“ მთავარმა მწვრთნელმა დენი უილსონმა თქვა: „ძალიან გვსურდა კიდევ ერთი ძლიერი ბურჯის დამატება, კონკურენციის გაზრდა და ანტონი ამ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს. ამ პოზიციის მოთამაშეებით ქართული რაგბი ტრადიციულად ძლიერია და ფეიქრიშვილი, რომელსაც რამდენიმე სეზონი ტოპ 14-ში აქვს გატარებული, ჩვენს შერკინებას დიდ ძალას და გამოცდილებას შესძენს. მოუთმენლად ველით ანტონის მოედანზე გამოჩენას. ის უდიდეს წვლილს შეიტანს ჩვენი ახალგაზრდა მორაგბეების განვითარებაში.“

„ალსტერის“ ორივე ბურჯი, რომლებიც ტრავმირებულები იყვნენ და რომელთა გამოც სამედიცინო ჯოკერის სტატუსით დამიმატეს, მოსალოდნელზე ადრე გამოჯანმრთელდნენ. ირლანდიელებთან კონტრაქტი 19 დეკემბერს მეწურებოდა, მათთან შეთანხმების გაგრძელების პერსპექტივა არ მქონდა და, ფაქტობრივად, თვენახევარი უსაქმოდ უნდა ვყოფილიყავი.

ამ დროს კარდიფი შემეხმიანა, რომელმაც კონტრაქტის გაფორმება სეზონის ბოლომდე შემომთავაზა, მისი კიდევ ორი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. საფიქრალი აღარაფერი იყო, „ალსტერის“ მენეჯერს ველაპარაკე და მანაც უპრობლემოდ გამათავისუფლა“ — განაცხადა ფეიქრიშვილმა.

კობა კობახიძე

◎ ეს შეუხორცებთ იარას?!

რუსებს ოლიმპიური კომპენსაციები გამოუნერეს

რუსი მძლეოსნები, რომლებსაც რიოდე-ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიური თამაშები დიდი დოპინგსკანდალის გამო გამოატოვებინეს, რუსეთის ოლიმპიელთა მხარდაჭერის ფონდისგან სოლიდურ ფინანსურ კომპენსაციას მიიღებენ. საუბარია 42 მძლეოსანზე, რომლებზეც საერთო ჯამში 40 მილიონი რუბლი გადანაწილდება.

ამ თანხიდან ყველაზე მეტს — 4-4 მილიონს სამი ტიტულოვანი სპორტსმენი მიიღებს, რომელთა ვინაობაც ჯერ არავის დაუსახელებია. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ერთ-ერთი მათგანი უხვტიტულა ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევაა.

2015 წლის ნოემბერში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ რუსეთის მძლეოსნობის ფედერაციას წევრობა განუსაზღვრელი ვადით შეუჩერა, რაც ამ ქვეყანაში დოპინგის მოხმარების გახშირებული შემთხვევებით ახსნა. შედეგად, რიოს ოლიმპიადაზე გამოსვლა ყველა რუს მძლეოსანს აეკრძალა სიგრძეზე მხტომელ დარია კლიშინას გარდა.

გეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

რაფრა უარყო ირინამ კრიშტიანუ

რას გეტყვით ახალ ჩემო ბატონებო და იგინო, იცით? ცხოვრება ისეთი რაცხაა, საიდან რა მოგვეხოშკაკალება და მოგეუცნაურება — ეგი არავინ იცის და რომც იცოდეს, მაინც ვერაფერს იზამს და პაწაზე თუ წეპოტინები, შეცვლა მჭირიაო — ე, მაშინ დეიწყება ყველაზე დიდი გველაძუობა — კაცი რომ ვერ წარმეიდგენს და მეიფიქრებს — იმფერი რაცხა...

აგერ ჯერ კიდევ გუშინ იყო, ირინია შეიკი კრიშტიანუ რონალდუსთან რომ იმასშობოდა და იყო ერთი ღლაბუცი და მკერდის დატოლება და ახლა კიდო დამდგარა ეს გადარეული დედაკაცი და იძახის, რატო ფეხი არ გამიხმა და მკერდი არ ჩამომადნა, იმ სასიკვტილე რონალდუიას რომ დავანახე, რაც კაი მაქვს და იმფერი — ავ თვალს რომ არ დეენახებაო.

განა რამე და იგი? ვინ არ გაშორებია ცოლსა და ქმარს? აგერ, კაკიოია შაჰ-აბასოვიჩმა მესამე ცოლი ისთე მეიყვანა და გოუშვა, ვინ რომელი და მერამდენე იყო — მაგის გაგება გოუჭირდება კაცს, მაგრამ ყოფილ საყვარელზე რო ადამიანი გლახობას და საძაგლობას იტყვის, იმას არც ახალი ეყვარება და პირი ქვისკენ გვიქნია და შეიძლება სულაც არავინ უყვარდეს თავისი თავის გარდა. მაგნაირი ერთი სტალინი იყო და ქე თუხთუხებს ახლა ლუციფერას ქვაბში. აპა!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ დედაქალაქი

ახლა დიდი წვიმაც აღარ არის საშიში

მართალია, წელი იწურება, მაგრამ თბილისში სარეაბილიტაციო ინფრასტრუქტურული პროექტები კვლავაც გრძელდება. ამჟამად ასეთი მასშტაბური საქმე ნაძალადევის უბანში, ერთ-ერთ ყველაზე გრძელ, 2,5-კილომეტრიან ჩარგლის ქუჩაზე კეთდება. ახლა იქ ახალი სანიაღვრე და წყალმომარაგების ქსელების მონტაჟი სრულდება, რის შემდგომ სავალ ნაწილსა და ტროტუარებს ასფალტის ახალი საფარი დაეგება, ასევე განახლდება ბორდიურები. თბილისის მერია ამ სამუშაოებზე 2,5 მილიონ ლარს დახარჯავს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩარგლის ქუჩისა და მიმდებარე უბანში მცხოვრებთათვის სანიაღვრე სისტემის ჩადების მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია, ვინაიდან დღემდე ლამის თბილისის ზღვიდან ჩამომავალ ქუჩაზე ასეთი საინჟინრო ნაგებობა, უბრალოდ... არ არსებობდა(!). ბუნებრივია, რომ ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, ყველა სხვა საკომუნიკაციო ქსელის განახლება.

საგულისხმოა, რომ სარეაბილიტაციო პროექტის ავტორებმა ჩვენს პატარა თანამოქალაქეებზეც იზრუნეს: იმ უბანში №207 საჯარო სკოლის წინ მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საგანგებო მოაჯირი დამონტაჟდა — ჩარგლის ქუჩაზე ხომ ძალიან ინტენსიური სამანქანო მოძრაობაა. დამპროექტებლებმა ფორს-მაჟორული ვითარებების წარმოშობის შემთხვევაში, ცალკე უბნების გასათიშად, სასმელი წყლის მიწოდების ჩამკეტი ურდულების მოხერხებული სისტემაც შეიმუშავეს.

უწინ ჩარგლის ქუჩაზე, თბილისის ზღვის მხრიდან, კერძოდ, მუხრანის ქუჩიდან, წვიმის წყლის სრულიად უმართავი ნაკადი, რომ იტყვიან, მდინარედ მოედინებოდა, გზის სავალ ნაწილსა და ტროტუარებს ერთიანად ტბორავდა, ეზოებში შედიოდა. ახლა კი იქ წყალარინების სისტემის 12 ახალი სანიაღვრე ჭის ბლოკი გაკეთდა, რაც დატბორვის საფრთხეს გაუნეიტრებელყოფს.

ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა გუდამაყრის ქუჩაზეც, ქალაქის მე-8 საავადმყოფოს მიმდებარედ, ამჟამად იქ უკვე ასფალტის მეორე პირი იგება. ხარისხს ადგილზე ვე სპეციალური დანადგარი ამოწმებს, რა პროცესსაც, მშენებლებთან ერთად, გუშინ თბილისის მერი დავით ნარმანია დაესწრო.

სამუშაოები, რომლებსაც დედაქალაქის მერიის დაკვეთით შპს „ენკო“ აწარმოებს, ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

დალი ხუნდაძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3.

29 3-13-34;

599 797679

სანთელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, უკეთილშობილესი ადამიანის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ბატონ

დავით სარიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვერეს ხეობაში 200 ხე დაირგო

ვერეს ხეობაში დარგული ხე-მცენარეების ჩანაცვლების პროცესი დაიწყო. გამხმარი ხე-მცენარეების ნაცვლად 200 ძირი კვიპაროსი დაირგო. ჩანაცვლების სამუშაოებს თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსი ნინო სულხანიშვილი დაესწრო.

სამუშაოები კომპანია „გრინ სერვის +“-მა განახორციელა.

2016 წლის საგაზაფხულო რგვების პერიოდში, ვერეს ხეობაში ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ, საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ დაირგო 4700 დეკორატიული მცენარე, მათ შორის: ლეილანდის და არიზონას კვიპაროსები, სმარაგდა-ტუია, ღვიები, ირმის რქა, დეკორატიული ტყემალი, სოფორები, რობინიები, ალბიციები და სხვა.

დარგული ხეების ზომა იყო საკმაოდ დიდი და ამიტომ, მცენარეებს ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დასჭირდათ. მცენარეებისთვის მოეწყო წვეთოვანი სისტემა, შეიტანეს ფესვის კვების და კონტაქტური სასუქები.

სამსახურის სპეციალისტები დამოუკიდებელ ექსპერტებთან და მეცნიერებთან ერთად მცენარეების მუდმივ მონიტორინგს აწარმოებდნენ. მათი შეფასებით, მცენარეების 80% მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო. ნოემბრის დასაწყისში კონტრაქტორი კომპანიის მიერ დაიგეგმა გამხმარი მცენარეების საბოლოო აღწერა. სულ დაფიქსირდა 550 გამხმარი მცენარე, რომელიც კონტრაქტორმა კომპანიამ ამოიღო. საბოლოო შეფასებით, 4700 მცენარიდან გახმა 550 მცენარე, რაც დარგული ნერგების საერთო რაოდენობის 12%-ია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ყველა გამხმარი ნერგის ჩანაცვლება.

კონტრაქტორ კომპანიას ვალდებულება აქვს გახმობის შემთხვევაში მცენარეები 2017 წლის გაზაფხულზეც ჩაანაცვლოს. ჩანაცვლება ხორციელდება კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებში და მერიის მხრიდან სხვა რაიმე დამატებითი თანხების გადახდა გათვალისწინებული არ არის.

ეპიტაფია

ცნობილი მეცნიერისა და ღირსეული თანამემამულის მირიან მესტვირიშვილის ხსოვნას

ქართულმა მეცნიერებამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ფიზიკოსი-თეორეტიკოსი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი *მირიან მესტვირიშვილი*. დაიბადა 1934 წელს თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც მხოლოდ ორი კურსი გაიარა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1958 წელს დაამთავრა. სადიპლომო სამუშაო შეასრულა ქ.დუბნის (მოსკოვის ოლქი) ბირთვულ კვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში, 1964 წლიდან 1970 წლამდე მუშაობდა დუბნის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიაში პროფესორ (შემდგომში აკადემიკოს) ა. ლოგუნოვის ჯგუფში. ამ პერიოდში მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1970 წლიდან 1986 წლამდე მ. მესტვირიშვილი მუშაობდა ქ. პროტვინოში (სერპუხოვის რ-ნი) მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მრავლობითი პროცესების თეორიული ლაბორატორიის გამგედ. აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ეხებოდა მაღალ ენერგიებზე მიმდინარე მრავლობითი პროცესების ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა გაბნევის ამპლიტუდების ანალიზური თვისებები და მათი ასიმპტოტიკური ყოფაქცევა. მ.მესტვირიშვილმა ცნობილ საზღვარგარეთელ ფიზიკოსებისგან დამოუკიდებლად ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა ე.წ. ინკლუზიური პროცესების განივკვეთების კორექტული აღწერა და მიიღო რიგი პროცესების კვეთების ყოფაქცევაზე მკაცრი შეზღუდვები.

1986-2016 წლებში მ. მესტვირიშვილი იყო მ.ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის ელემენტარულ ნაწილაკთა თეორიისა და გრავიტაციის განყოფილების გამგე, 2016 წლის ივლისიდან - ამავე უნივერსიტეტში კვანტური სტატისტიკისა და ველის თეორიის კათედრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

1986 წელს ნაშრომთა ციკლისათვის „ინკლუზიური პროცესები მაღალი ენერგიების ელემენტარულ ნაწილაკთა ძლიერ ურთიერთქმედებებში და ამ პროცესებში მასშტაბური ინვარიანტობის აღმოჩენა“ პროფესორ მირიან მესტვირიშვილს კოლეგებთან ერთად მიენიჭა სსრ კავშირის ლენინური პრემია.

საყურადღებოა ბატონ მირიანის ფუნდამენტური შრომები რელატივისტური გრავიტაციის ახლებური ინტერპრეტაციის სფეროში აკად. ა. ლოგუნოვთან ერთად. ეს თეორია ემყარება ყალიბრულ პრინციპს და ფარდობითობის და გეომეტრიზაციის პრინციპებს და განიხილავს გრავიტაციულ ველს როგორც ფიზიკურს კლასიკური გაგებით. სამყაროს განვითარების ანალიზი გრავიტაციის რელატივისტური თეორიის მიხედვით იძლევა სამყაროს უსასრულობას და „ბრტყელობას“ და წინასწარმეტყველებს სამყაროში დიდი რაოდენობით ფარულ მატერიას. მან ა. ლოგუნოვთან ერთად გრავიტაციის სფეროში გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია და სალექციო კურსი, რომელსაც წარმატებით კითხულობდა მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1988 წელს მირიან მესტვირიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მას არასდროს დაუკარგავს კავშირი საქართველოსთან და მის აღმზრდელ უნივერსიტეტთან. ბევრმა ქართველმა სტუდენტმა გაიარა ასპირანტურა მაღალი ენერგიების ფიზიკის მექაში - დუბნასა და პროტვინოში ბატონი მირიანის ხელშეწყობითა და ხელმძღვანელობით. პიროვნულად ბატონი მირიანი იყო მეტად ყურადღებიანი და თბილი ადამიანი, ერთგული მეგობარი, იგი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა ყველგან, სადაც კი უმუშავია.

ჩვენ, მის კოლეგებსა და ახლობლებს მუდამ გვემახსოვრება მირიან მესტვირიშვილი - თვალსაჩინო მეცნიერი და ნათელი პიროვნება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
***აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის* განყოფილება**

დღის ფოტო

ცნობილმა ბრენდმა Victoria's Secret-მა ბრილიანტებით და ზურმუხტებით გაწყობილი აზღუდი შექმნა. მისი ფასია 3 (სამი!) მილიონი დოლარი. ბიუსტჰალტერის საზოგადოებისთვის წარდგენის პატივი 25 წლის სუპერ-მოდელ ჟასმინ ტუქსს ერგო.

ანეკდოტები

— იმდენი რამე წავიკითხე იმის შესახებ, თუ რამდენად მავნეა თამბაქოს მოწევა და ალკოჰოლიანი სასმელები ჯანმრთელობისთვის, რომ სულ დავანებე თავი კითხვას!

* * *

— ჭიჭიკია, მასესხე, თუ კაცი ხარ, 100 ლარი ერთი კვირით!

— აბა, რას მეუბნები, ჩემო პაჭიკო, ისედაც უძილობა მჭირს და ახლა კიდო აგი დარდი მინდა მე უბედურს?

* * *

გათიშულმა მთვრალმა მამაკაცმა მეტროში თავი ჩამოდო ვიღაც უცხო ქალის მხარზე და ჩათვლიმა. შეწუხებულმა ქალმა მხარი სახეში აარტყა და იქედნურად ეკითხება:

— იქნებ ზემოდან დამაწვე კიდეც, ვაუბატონო?

— აბა, აბა, ნუ თავხედობ! უყურე ამას, ახლა განცხრომაც არ მომინდომა!

* * *

იცით რა განსხვავებაა ნევრასტენსა და შიზოფრენს შორის?

შიზოფრენმა არ იცის რამდენია ორჯერ ორი და არხეინად არის.

ნევრასტენმა კი ზუსტად იცის, რომ ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ მაინც ნერვიულობს.

კრიმინალი

მკვლელს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და გიორგი ქველაძე დამნაშავედ სცნო განზრახ მკვლელობის ჩადენაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 14 თებერვალს, დაახლოებით 11:30 საათზე, ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №26ა კორპუსის ეზოში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, გიორგი ქველაძემ განზრახ მოკვლის მიზნით, ირაკლი ღლონტს დანით გულ-მკერდის არეში მიაყენა ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ირაკლი ღლონტი მიღებული ჭრილობის შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა გიორგი ქველაძე იმავე დღეს ქ. თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი ქველაძე სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ქველაძე წარსულში გასამართლებულია ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით.

წეს-ჩვეულებები

წყვდიადიდან გამოსვლა

ბოლო წლებია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ნოემბრის დადგომისას ჰელოუინის, ანუ ყოველთა მიცვალებულთა დღესასწაულს ახალგაზრდობა დიდი მხიარულებით აღნიშნავს. მართალია, ის შორსაა ძველებური ტრადიციებისგან, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის ერთი გადავლებით: სინამდვილეში წინაპართა სულებთან სამუდამოდ დამშვიდობება ხომ შეუძლებელია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰელოუინის დღესასწაული, ირლანდიელ ემიგრანტთა წყალობით, მე-19 საუკუნეში გავრცელდა. მას ფესვები ძველი კელტების ტრადიციებში უდევს, რომლებსაც სწამდათ, რომ **სამაინის ღამეს** (რომელიც, თანამედროვე კალენდრით, ოქტომბერ-ნოემბრის, ასევე წლის ნათელი და ბნელი დროს მიჯნაზეა) **მიცვალებულთა და ცოცხალთა სამყაროებს შორის ზღვარი იშლება.** ავ სულთა დასაფრთხობად ადამიანები ცხოველთა ტყავებში იმოსებოდნენ და ცეცხლს ანთებდნენ, რომელიც გულამოღებული მიწამსხალებში და თალგამებში ჩადებული ნაკვერჩხლებით სახლებში მიჰქონდათ.

ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, წარმართული დღესასწაული შეიცვალა: ახლა ცეცხლი გარდაცვლილთა სულებს განსაწმენდელის გზას უჩვენებდა. ლეგენდით, ასეთი მანათობლით დადიოდა მიუსაფარი მჭედელი ჯეკი, რომელმაც ეშმა გააცურა. გარდაცვალების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მჭედლის სული არც უფალმა მიიბარა, არც ეშმამ, ამიტომაც ის დაეხეტებოდა განკითხვის დღის მოლოდინში.

მანათობლებს კი „ჯეკის თავი" შეარქვეს და მისი კეთება, ირლანდიისგან განსხვავებით არა მიწამსხალიდან ან თალგამიდან, არამედ გოგრიდან დაიწყეს — ასე უფრო იაფი იყო.

ჩინეთში გარდაცვლილთა სულის მოხსენიების დღესასწაულს მე-3 საუკუნიდან მოყოლებული აღნიშნავენ. ლეგენდით, ბუდას რჩევით, მისმა ერთ-ერთმა მოწაფემ შეძლო გარდაცვლილი დედის სულის დამშეული სულების სამყაროდან დახსნა. მას შემდეგ, წელიწადში ერთხელ საიქიოს კარი იხსნება და გარდაცვლილთა სულებს დროებით ცოცხალ ნათესავებთან დაბრუნება შეუძლიათ. იმისათვის კი, რომ სულებმა გზა გაიკვლიონ, სახლების წინ დანთებულ ფარნებს ჰკიდებენ.

კამბოჯაში კი მოხეტიალე სულთა დღეს ხალხი ლოცულობს, სანთლებს ანთებს, საკმეველს აკმევს და, გარდაცვლილთა სულების ხვედრის შესამსუბუქებლად, მათ ძღვენს მიართმევს. იქაურ ხალხს სწამს, რომ **ცუდი კარმის მქონე ადამიანები გარდასახვას ვერ შეძლებენ და სულთა სამყაროში ტყვეებად დარჩებიან. მაგრამ, წელიწადში ერთხელ მიწისქვეშა სამყაროს გამგებელი მათ ცოცხალთა სამყაროში ნათესავებთან უშვებს, რათა მოინანიონ და კარმის ზემოქმედება შეამცირონ.**

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

უსიტყვოდ



ამირან ერაძის ნახატი

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4195; ევრო - 2.6810;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9687;
100 რუბლი - 3.8102; თურქული ლირა - 0.7769;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4466;
1000 სომხური დრამი - 5.0830.

ამინდი 4 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე -4,	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე -6,	დღე +14
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე 6,	დღე +21
მთიანი რაიონები -	ღამე -4,	დღე +16
თბილისი:	ღამე +1,	დღე +17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE